წლიური ანგარიში

'20

სსიპ საქართველოს
ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“

საქართველოს ინტელექტუალური
საკუთრების ეროვნული ცენტრი
საქპატენტი
SAKPATENTI
NATIONAL INTELLECTUAL PROPERTY
CENTER OF GEORGIA
www.sakpatenti.gov.ge

სარჩევი

4 ჩვენ შესახებ

7 უწყების სტრუქტურა

8 საერთაშორისო ურთიერთობები

11 ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების სამართლებრივი დაცვა
გამოგონება, სასარგებლო მოდელი, მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშები
სასაქონლო ნიშანი, გეოგრაფიული აღნიშვნა და დიზაინი
საავტორო უფლებები

32 სამართალშემოქმედება და სამართალწარმოება

23 საგანმანათლებლო საქმიანობა

26 საზოგადოებასთან ურთიერთობა

28 საგამომცემლო და საინფორმაციო საქმიანობა

30 ფინანსური მაჩვენებლები

32 სტატისტიკური მონაცემები 2020

48 სამოქმედო გეგმა 2021

ჩვენ შესახებ

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – „საქპატენტი“ ინტელექტუალური საკუთრების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი, დამოუკიდებელი, თვითდაფინანსებაზე მყოფი სახელმწიფო უწყებაა, რომელიც ჩამოყალიბებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით.

ძირითადი საქმიანობა:

- ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე უფლებების წარმოშობისა და განხორციელების უზრუნველყოფა:
  - ✓ ანიჭებს სამართლებრივ დაცვას ინტელექტუალური სამრეწველო საკუთრების ობიექტებს: გამოგონებას, სასარგებლო მოდელს, მცენარეთა და ცხოველთა ახალ ჯიშებს, სასაქონლო ნიშანს, დიზაინს, გეოგრაფიულ აღნიშვნასა და ადგილწარმოშობის დასახელებას;
  - ✓ ასევე, უზრუნველყოფს საავტორო უფლებებით დაცული ნაწარმოებების ნებაყოფლობით დეპონირებას;
- წარმოადგენს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების სფეროში მოქმედ საერთაშორისო ორგანიზაციებში;
- ხელს უწყობს ქვეყანაში ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სისტემის განვითარებასა და სრულყოფას:
  - ✓ შეიმუშავებს ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ კანონპროექტებსა და სხვა კანონქვემდებარე აქტებს;
  - ✓ ხელს უწყობს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას ინტელექტუალური საკუთრების სფეროში.

ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების რეგისტრაციის პროცედურები:

- ეროვნული პროცედურა (სტანდარტული და დაჩქარებული);
- საერთაშორისო პროცედურა.

მხარდამჭერი ინსტრუმენტები:

- ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე ელექტრონული საქმისწარმოების პლატფორმა „eFiling“;
- პატენტის საერთაშორისო განაცხადების სისტემა „ePCT”;
- სასაქონლო ნიშნების საერთაშორისო განაცხადების სისტემა „Madrid eFiling”;
- დიზაინის საერთაშორისო განაცხადების სისტემა „eHague”;
- მცენარეთა ჯიშების საერთაშორისო განაცხადების ინსტრუმენტი „UPOV PRISMA”;
- ინტელექტუალური საკუთრების სასწავლო ინსტიტუტების ვირტუალური ქსელი „IPTIs”.

უწყების ბაზაზე ფუნქციონირებს:

- სამრეწველო საკუთრების ობიექტების რეგისტრაციასთან დაკავშირებული დავების განმხილველი ორგანო – სააპელაციო პალატა;
- საქპატენტის სასწავლო ცენტრი;
- მოქალაქეთა მომსახურების ცენტრი;
- დარგობრივი ლიტერატურის გამომცემლობა;
- სამეცნიერო ბიბლიოთეკა;
- საგამოფენო დარბაზი.

უწყებასთან ფუნქციონირებს:

- ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულების უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო;
- ა(ა)იპ ორიჯინ-საქართველო.

ექსპერტიზის დამხმარე საერთაშორისო ინსტრუმენტები:

- საქონლისა და მომსახურების კლასიფიკაციის (ტერმინების) საძიებო სისტემა „TM Class“ (EUIPO);
- დიზაინის კლასიფიკაციის (ტერმინების) საძიებო სისტემა „Design Class” (EUIPO);
- სასაქონლო ნიშნების ხელოვნური ინტელექტის მქონე ვიზუალური საძიებო სისტემა „Trademark Vision“;
- სასაქონლო ნიშნების გლობალური მონაცემთა ბაზა “Global Brand Database” (WIPO);
- მადრიდის ოფისის პორტალი „MOP“ (WIPO);
- სასაქონლო ნიშნების საძიებო სისტემა „TM View“ (EUIPO);
- დიზაინის საძიებო სისტემა „Design View’ (EUIPO);
- საერთაშორისო ბიუროსა და უწყებებს შორის სასაქონლო ნიშნების მონაცემების ელექტრონულად გაცვლის ხელსაწყო „MECA” (WIPO);
- მადრიდის საქონლისა და მომსახურების მენეჯერი „MGS“ (WIPO);
- საქონლის და მომსახურების ჰარმონიზებული მონაცემთა ბაზა „HDB“ (EUIPO);
- საპატენტო საძიებო სისტემა „Patentscope” (WIPO);
- საპატენტო საძიებო სისტემა „Espacenet” (EPO);
- სპეციალიზებულ საპატენტო ინფორმაციაზე წვდომის პროგრამა „ASPI“ (WIPO);
- საპატენტო საძიებო სისტემა „PatBase“;
- საპატენტო საძიებო სისტემა „Derwent Innovation“;
- სამეცნიერო ლიტერატურაზე წვდომის პროგრამა „ARDI“ (WIPO);
- საპატენტო საძიებო სისტემა „GPI“ (EPO);
- საპატენტო-საინფორმაციო სისტემა „Cis-patent” (Роспатент);
- საპატენტო საძიებო სისტემა „EAPATIS“ (EAPO);
- როსპატენტის საპატენტო საძიებო სისტემა;
- საპატენტო ექსპერტიზის მასალებზე ცენტრალიზებული წვდომის სისტემა „WIPO CASE“ (WIPO);
- ციფრული წვდომის სისტემა „WIPO DAS“ (WIPO);
- მცენარეთა ახალი ჯიშების საერთაშორისო საძიებო სისტემა „PLUTO” (UPOV).

საინფორმაციო მხარდაჭერა:

- უფასო კონსულტაცია;
- მონაცემთა ელექტრონულ ბაზაზე თავისუფალი წვდომა;
- წინასწარი საპატენტო ძიების უფასო სერვისი;
- სამრეწველო საკუთრების ოფიციალური ბიულეტენის გამოცემა;
- მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების დაცვის ოფიციალური ბიულეტენის გამოცემა;
- ბიბლიოთეკის ფონდზე თავისუფალი წვდომა.

საქმიანობის სამართლებრივი ჩარჩო:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- საქართველოს საპატენტო კანონი;
- საქართველოს კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ;
- საქართველოს კანონი დიზაინის შესახებ;
- საქართველოს კანონი საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ;
- საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ;
- საქართველოს კანონი ცხოველთა და მცენარეთა ახალი ჯიშების შესახებ;
- საქართველოს კანონი ინტეგრალური მიკროსქემების ტოპოლოგიის შესახებ.

საერთაშორისო და ორმხრივი შეთანხმებები:

- სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენცია;
- შეთანხმება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ (TRIPS);
- ხელშეკრულება საპატენტო კოოპერაციის შესახებ (PCT);
- ბუდაპეშტის ხელშეკრულება საპატენტო

პროცედურების მიზნებისათვის მიკროორგანიზმთა დეპონირების საერთაშორისო აღიარების შესახებ;

- მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის საერთაშორისო კონვენცია (UPOV-ის კონვენცია);
- ჰააგის შეთანხმება დიზაინების საერთაშორისო დეპონირების შესახებ;
- ჰააგის შეთანხმება დიზაინების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ;
- ლოკარნოს შეთანხმება დიზაინების საერთაშორისო კლასიფიკაციის დაწესების შესახებ;
- ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის შეთანხმებასთან დაკავშირებული ოქმი;
- საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკაციის ნიცის შეთანხმება ნიშნების რეგისტრაციის მიზნებისათვის;
- ადგილწარმოშობის დასახელებების დაცვისა და მათი საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ ლისაბონის შეთანხმება;
- ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის შესახებ ბერნის კონვენცია;
- შემსრულებელთა, ფონოგრამების მწარმოებელთა და სამაუწყებლო ორგანიზაციათა უფლებების დაცვის შესახებ რომის კონვენცია;
- საავტორო უფლების შესახებ WIPO-ს ხელშეკრულება (WCT);
- შესრულებებისა და ფონოგრამების შესახებ WIPO-ს ხელშეკრულება (WPPT);
- ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის;
- შეთანხმება საქართველოსა და შვეიცარიის კონფედერაციას შორის გეოგრაფიული აღნიშვნების, ადგილწარმოშობის დასახელებებისა და წარმოშობის წყაროს აღნიშვნების ურთიერთაღიარებისა და დაცვის შესახებ;
- შეთანხმება საქართველოსა და უკრაინას შორის ღვინის, სპირტიანი სასმელისა და მინერალური წყლის გეოგრაფიული აღნიშვნების სამართლებრივი ურთიერთდაცვის შესახებ;
- შეთანხმება საქართველოსა და დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს შორის სტრატეგიული პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ.

უწყების სტრუქტურა



საერთაშორისო ურთიერთობები

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა ინტელექტუალური საკუთრების სფეროში საერთაშორისო ურთიერთობების განვითარება, მათ შორის, საზღვარგარეთის ქვეყნების ინტელექტუალური საკუთრების უწყებებთან თანამშრომლობის გაღრმავება. ნაყოფიერი საერთაშორისო თანამშრომლობის და პარტნიორობის საუკეთესო მაგალითია აშშ-ს განვითარების სააგენტოს (USAID) ელექტრონული მმართველობის (e-Governance) პროექტის ფარგლებში დანერგილი საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამა, რამაც 2020 წელს, კორონავირუსის (COVID-19) პანდემიის დროს, საშუალება მისცა საქპატენტს დისტანციურ რეჟიმში შეუფერხებლად გაეგრძელებინა ფუნქციონირება.

საქპატენტის საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტის ერთ-ერთი ფუნქციაა უწყების კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის მოძიება, დამუშავება, ანალიზი და აქტივობის ინიცირება. ამ მიმართულებით, საქპატენტის შესაბამისი დარგობრივი სტრუქტურული ერთეულების ჩართულობით, 2020 წელს განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- ინტელექტუალური საკუთრების დარგობრივი სტრატეგიის, გეოგრაფიული აღნიშვნების სისტემის განვითარების, საქპატენტის სასწავლო ცენტრის ხელშეწყობისა და სხვა გლობალური პროექტების განხორციელების შესახებ გაიმართა შეხვედრები ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) გენერალურ დირექტორთან ფრენსის გარისთან, ასევე, ახლად არჩეულ გენერალურ დირექტორთან დარენ ტანგთან და WIPO-ს აკადემიის ხელმძღვანელთან შერიფ საადალასთან. შეხვედრებზე მიღწეულ იქნა შეთანხმება WIPO-ს შემდგომ მხარდაჭერაზე საგანმანათლებლო საქმიანობის კუთხით, კერძოდ, პუბლიკაციებისა და WIPO-ს ინტელექტუალური საკუთრების სამართლის მოწინავე დისტანციური სწავლების ერთ-ერთი კურსის ქართულ ენაზე თარგმნასა და ადაპტირებაზე, სასწავლო ცენტრის ტრენერთა დამატებითი ტრენინგების (ToT) განხორციელებასა და სხვა მხარდამჭერ ღონისძიებებზე. გარდა ამისა, 2020 წელს საქპატენტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს WIPO-ს საავტორო და მომიჯნავე უფლებების მუდმივმოქმედი კომიტეტის (SCCR), საპატენტო სამართლის შესახებ მუდმივმოქმედი კომიტეტის (SCP), სასაქონლო ნიშნების შესახებ მუდმივმოქმედი კომიტეტის (SCT), განვითარებისა და ინტელექტუალური საკუთრების კომიტეტის (CDIP) და წევრი სახელმწიფოების გენერალური ასამბლეის 61-ე სესიის მუშაობაში.
- გაიმართა შეხვედრა ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების (EUIPO) აღმასრულებელ დირექტორთან კრისტიან არშამბოსთან მიმდინარე „ინტელექტუალური საკუთრების შესახებ ევროკავშირისა და საქართველოს ერთობლივი პროექტის“ (EUGIPP) შესახებ, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების ეფექტიანი სისტემის განვითარებისთვის მოქმედი ინსტიტუციების გაძლიერებას, ასევე, კანონმდებლობისა და პრაქტიკის დაახლოებასა და ჰარმონიზაციას. პროექტის განხორციელება დაიწყო საანგარიშო წელს და მის ფარგლებში, 2020 წელს საქპატენტმა დაასრულა ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების ქსელის (EUIPN) წევრი უწყებების მიერ შემუშავებული სასაქონლო ნიშნებისა და დიზაინის პრაქტიკის დოკუმენტების ადაპტაცია-დანერგვა და გახდა ევროკავშირის არაწევრი ქვეყნების უწყებებს შორის პირველი, რომელმაც სრულად გაიზიარა ევროკავშირის წევრი ქვეყნების პრაქტიკა სასაქონლო ნიშნებისა და დიზაინების ექსპერტიზასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, პროექტის ფარგლებში, მიმდინარე წელს გაგრძელდა საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალის საძიებო ინსტრუმენტში – ჰარმონიზებულ მონაცემთა ბაზაში (HDB) ინტეგრირების სამუშაოები, ასევე, დიზაინისა და სასაქონლო ნიშნების განაცხადების ექსპერტიზის თაობაზე სახელმძღვანელოების მომზადება და აქტივობები უწყების ISO 9001:2015 სტანდარტის დანერგვისა და საქპატენტის ადამიანური რესურსების გაძლიერების მიმართულებით. პროექტი მოიცავს, აგრეთვე, კონტრაფაქციისა და მეკობრეობის წინააღმდეგ სასწავლო პროგრამების განხორციელებას. ამ მიმართულებით, საანგარიშო წელს ჩატარდა მოსამზადებელი სამუშაოები, აგრეთვე, სასაქონლო ნიშნებისა და დიზაინის, საავტორო უფლებებისა და ინტელექტუალური საკუთრების სხვა უფლებების აღსრულების თაობაზე შედარებითი კვლევებისა და საქპატენტის სააპელაციო პალატის ეფექტიანობის გაზრდის და სტანდარტიზაციაზე მიმართული ღონისძიებები. EUIGPP-ის ფარგლებში, მომზადდა მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებისათვის ცნობიერების ამაღლების ღონისძიების პროექტი, ასევე, საქპატენტის სასწავლო ცენტრის შესაძლებლობების გაძლიერებისა და სასკოლო პროგრამებში ინტელექტუალური საკუთრების ინტეგრირებისათვის საჭირო ღონისძიებები, მათ შორის, სასწავლო კურსების ორგანიზება.
- გაგრძელდა მუშაობა ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ საჯარო სამსახურების დაძმობილების (Twinning) პროექტზე „საქართველოში გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვისა და კონტროლის ეფექტიანი სისტემის დანერგვა“ (GE/16 ENI EC 0318), რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში გეოგრაფიული აღნიშვნებისა და ადგილწარმოშობის დასახელებების სისტემის განვითარების ხელშეწყობას და ევროკავშირის გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის სისტემასთან ჰარმონიზებას, ისეთი ადმინისტრაციული და ინსტიტუციური მექანიზმების შექმნას, რომლებიც ხელს შეუწყობს აღნიშნულ სფეროში კომპეტენციის გაზრდასა და ცოდნის გაღრმავებას. პროექტის ფარგლებში, საანგარიშო წელს სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფს ჩაუტარდა ტრენინგები, მომზადდა არაერთი სამართლებრივი აქტის ცვლილების პროექტი, მათ შორის, დასრულდა მუშაობა „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ კანონის“ ცვლილების პროექტზე.
- 2020 წლის სექტემბერში ხელი მოეწერა ევროპის საპატენტო უწყებასა (EPO) და საქპატენტს შორის მომავალი წლების თანამშრომლობის გეგმას, რომელიც მიზნად ისახავს ევროპის საპატენტო უწყებასა და საქართველოს შორის 2019 წლის ოქტომბერში გაფორმებული ვალიდაციის შეთანხმების იმპლემენტაციას, საქართველოში საპატენტო სისტემის შემდგომ დახვეწასა და ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებას. თანამშრომლობის ფარგლებში, ჩატარდა სამუშაოები საქართველოს პატენტების EPO-ს საპატენტო საძიებო სისტემაში „Espacenet“ განთავსების სრულყოფისთვის, დაიგეგმა ქართველი ექსპერტების მონაწილეობა EPO-ს მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში, სემინარებსა და კონფერენციებში, ასევე, გამოგონების და ინოვაციების სფეროში ცნობიერების ამაღლების მიზნით, ერთობლივი ღონისძიებები. გარდა ამისა, დაიგეგმა EPO-ს აკადემიის და საქპატენტის სასწავლო ცენტრის თანამშრომლობა სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისთვის ერთობლივი სასწავლო კურსების და სემინარების მომზადების კუთხით. შეთანხმების ფარგლებში, გაიართა მოლაპარაკებები EPO-ს მიერ პატენტრწმუნებულთა ატესტაციის სისტემის რეფორმირების მიმართულებით საქპატენტის დახმარების შესახებ;

- შეხვედრა გაიმართა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) საქართველოს მისიის დირექტორ პიტერ ვიბლერთან, რომელზეც მიღწეულ იქნა შეთანხმება USAID-ის მიერ საქპატენტის ხელშეწყობაზე ინსტიტუციურ გაძლიერებასა და ინტელექტუალური საკუთრების სფეროში კანონმდებლობის დახვეწის მიმართულებით, ასევე, თანხმობა საკომუნიკაციო სტრატეგიის შემუშავებაში დახმარებაზე. 2020 წლის მეორე ნახევარში, USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამასთან ერთად, დაიწყო პროექტი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის დახვეწისა და ონლაინ მეკობრეობის წინააღმდეგ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიმართულებით. აღნიშნული მიზნად ისახავს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულების მექანიზმების ეფექტიანად განხორციელების ხელშეწყობას, საჯარო და კერძო სექტორებს შორის დიალოგის გაღრმავებას, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებასა და უფლებების აღსრულების მიმართულებით დაინტერესებულ პირებს შორის კონტაქტების დამყარებას.
- უწყებამ მონაწილეობა მიიღო სასაქონლო ნიშნების საერთაშორისო ასოციაციის (INTA) ყოველწლიურ შეხვედრაში, რომელიც წარმოადგენს საუკეთესო პლატფორმას საერთაშორისო საზოგადოებისთვის საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სისტემის გასაცნობად და პოტენციური განმცხადებლების მოსაზიდად. ღონისძიებაში ყოველწლიურად მონაწილეობს მსოფლიოში ცნობილი სხვადასხვა ბრენდის მფლობელი 9500-ზე მეტი კომპანია, მოწინავე იურიდიული კომპანიები და ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო, რეგიონული და ეროვნული უწყებები. მოხდა ახალი კონტაქტების დამყარება და საქართველოს ბაზრით ახალი კომპანიების დაინტერესება.
- საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდნენ „ტეკილას“ მარეგულირებელი საბჭოს პრეზიდენტი, „ტეკილას“ წარმოების ეროვნული პალატის პრეზიდენტი და მექსიკის ინტელექტუალური საკუთრების უწყების ხელმძღვანელი პირები, რომლებმაც ოფიციალური შეხვედრა გამართეს ქართველ კოლეგებთან. დელეგაციის ვიზიტის მიზანი იყო საქართველოს ბაზარზე „ტეკილას“ პოპულარიზაცია და მექსიკის ბაზარზე ქართული ღვინის ექსპორტის ხელშეწყობა.
- საანგარიშო წელს განხორციელდა ყაზახეთის რესპუბლიკის ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ინსტიტუტის დელეგაციის სამუშაო ვიზიტი საქართველოში, დირექტორის იერმეკ კუანტიროვის ხელმძღვანელობით. ვიზიტის ფარგლებში, განხილულ იქნა ინტელექტუალური საკუთრების სფეროში თანამშრომლობის სხვადასხვა საკითხები და დაისახა სამომავლო გეგმები. შეხვედრაზე საუბარი შეეხო საქართველოსა და ყაზახეთის რესპუბლიკას შორის „გეოგრაფიული აღნიშვნების ურთიერთაღიარებისა და დაცვის შესახებ“ ორმხრივი შეთანხმების გაფორმებასთან დაკავშირებულ საკითხს. აღნიშნული შეთანხმების გაფორმების შემთხვევაში, მხარეები ნაცვალგების წესით აღიარებენ და ეროვნული კანონმდებლობების შესაბამისად უზრუნველყოფენ გეოგრაფიული აღნიშვნების სამართლებრივ დაცვას, რის საფუძველზეც შემცირდება ქართული დასახელებების კონტრაფაქციული პროდუქციის წარმოებისა და ყაზახეთის სამომხმარებლო ბაზარზე ბრუნვის ალბათობა.

საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით უწყების სამოქმედო გეგმა მოიცავს საერთაშორისო დაფინანსებით მიმდინარე პროექტების განხორციელებას და უწყების სტრატეგიაზე დაყრდნობით ახალი პროექტების ინიცირებას.

ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების სამართლებრივი დაცვა

საქპატენტის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას წარმოადგენს ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე სამართლებრივი დაცვის მინიჭება, რაც საანგარიშო წელს პანდემიის (COVID-19) მიუხედავად შეუფერხებლად ხორციელდებოდა შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ.



2020 წელი

შემოსული განაცხადების რაოდენობა 5623

ეროვნული პროცედურა
2563 განაცხადი

ელექტრონული ფორმა 82%
მატერიალური ფორმა 18%

საერთაშორისო პროცედურა
3060 განაცხადი

ელექტრონული ფორმა 99.96%
მატერიალური ფორმა 0.04%

ობიექტი	შემოსული განაცხადები	გაცემული პატენტები და რეგისტრირებული განაცხადები
გამოგონება და სასარგებლო მოდელი	285	186
ახალი ჯიშები	17	4
სასაქონლო ნიშანი	4706	4396
გეოგრაფიული აღნიშვნა და აღგილწარმოშობის დასახელება	9	10
დიზაინი	204	216
საავტორო უფლებები	362	327 დეპონირების მოწმობა

ჩატარებული წინასწარი ძიება 600-მდე

გაცემული უფასო კონსულტაცია 11 081

მომსახურების ცენტრში კონსულტაცია – 680
სატელეფონო კონსულტაცია – 10401

შეფასება

მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევაში მონაწილე 754 პირიდან 94%-მა მომსახურება შეაფასა უმაღლესი 5 ქულით

გამოგონება, სასარგებლო მოდელი და ახალი ჯიშები

გამოგონების და ახალი ჯიშების დეპარტამენტში, რომელიც უზრუნველყოფს განმცხადებლების მიერ საქართველოში საპატენტო დაცვის მოპოვებას ეროვნული და საერთაშორისო პროცედურით, საანგარიშო წელს 400-ზე მეტი მომართვის საფუძველზე, განხორციელდა წინასწარი საპატენტო ძიება, ექსპერტიზა, შესაბამისი დოკუმენტების გაცემა და სამრეწველო საკუთრების რეესტრში შეტანა. გასულ წელთან შედარებით, 2020 წელს გამოგონების, სასარგებლო მოდელისა და ახალი ჯიშების მიმართულებით გამოიკვეთა შემდეგი ტენდენციები:

- გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის ადგილობრივ და უცხოურ განაცხადებში ლიდერობს განაცხადები ადამიანის პირველადი მოთხოვნილების საგნებზე (A განყოფილება), რაზეც შემოვიდა 30 ადგილობრივი განაცხადი.
- გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის დაცვის გავრცელების მოთხოვნით უცხოეთიდან ყველაზე მეტი განაცხადი შემოვი და აშშ-დან (44), რუსეთიდან (22) და გერმანიიდან (18);
- განხორციელებული 127 წინასწარი საპატენტო ძიებიდან, 106 განხორციელდა ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს (GITA) პროექტებისთვის;
- 9%-ით გაიზარდა გამოგონების განაცხადების რაოდენობა;
- 7%-ით შემცირდა გამოგონების ადგილობრივი განაცხადების რიცხვი;
- 14%-ით შემცირდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სახელით მიღებული გამოგონების განაცხადების რაოდენობა;
- 13%-ით შემცირდა სასარგებლო მოდელის განაცხადების რაოდენობა;
- 21%-ით შემცირდა სასარგებლო მოდელის ადგილობრივი განაცხადების რაოდენობა;
- 3,4-ჯერ გაიზარდა განაცხადების რაოდენობა ახალ ჯიშებზე დაცვის მისაღებად;
- მცენარის ახალ ჯიშზე საქპატენტში შემოსულია 17 განაცხადი. აქედან, 12 მოცვის, 1 თხილის, 1 ზეთისხილის ხის, 1 კარტოფილის, 1 მარწყვის და 1 პავლონიასებრნის ახალ ჯიშზე;
- საანგარიშო წელს მცენარის 4 ახალ ჯიშზე გაიცა სელექციონერის უფლების დამადასტურებელი მოწმობა.

გამოგონებისა და ახალი ჯიშების დეპარტამენტის კომპეტენციის ფარგლებში, რაც, ასევე, მოიცავს აღნიშნული ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების დაცვის სისტემის განვითარებისა და სრულყოფისათვის კონკრეტული ღონისძიებების შემუშავებას, 2020 წელს განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

- საქართველოს საპატენტო კანონში შესატანი ცვლილებების პროექტის მოსამზადებელი სამუშაოები, რომლებიც ემსახურება საქართველოს საპატენტო კანონმდებლობის ევროპულ კანონმდებლობასთან შემდგომ ჰარმონიზებას EPO-სთან ვალიდაციის შეთანხმების იმპლემენტაციის შესაბამისად;
- ჩატარდა წინასწარი სამუშაო ცხოველთა და მცენარეთა ახალი ჯიშების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების პროექტის მოსამზადებლად, რომლის მიზანია ახალი ჯიშების დაცვის სისტემის და ექსპერტიზის ხარისხის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება;
- ინოვაციური საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, დეპარტამენტის თანამშრომლები ჩართულები იყვნენ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს

(GITA)-ს პროექტებში: „თანადაფინანსების გრანტები სტარტაპებისთვის“, „თანადაფინანსების 650000-ლარიანი გრანტები ინოვაციების მიმართულებით“, „ტექტრანსფერის საპილოტე პროექტი“ და „მცირე გრანტების პროგრამა“;

- ახალგაზრდა გამომგონებელთა წახალისების მიზნით, დეპარტამენტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსებში „ლეონარდო და ვინჩი“ (რუსთაველის ფონდი) და „ათასწლეულის ინოვაციის კონკურსი“ (ათასწლეულის ფონდი).

2021 წლის სამოქმედო გეგმის თანახმად, გამოგონებისა და ახალი ჯიშების დეპარტამენტის საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულება იქნება EPO-სთან ვალიდაციის შეთანხმების იმპლემენტაციისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება, კერძოდ, ევროპის საპატენტო უწყებასა (EPO) და საქპატენტს შორის თანამშრომლობის 2020-2021 წლების გეგმით გაწერილი აქტივობები, მათ შორის, საქართველოს პატენტების EPO-ს საპატენტო საძიებო სისტემაში (Espacenet) განთავსების პროცედურების სრულყოფა და, ექსპერტების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, EPO-ს მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში, სემინარებსა და კონფერენციებში მონაწილეობა. გარდა ამისა, დეპარტამენტი მონაწილეობს პატენტრწმუნებულთა ატესტაციის სისტემის რეფორმირებაში, რომელიც, ასევე, განხორციელდება ევროპის საპატენტო უწყების დახმარებით.

სასარგებლო მოდელი შემოსული განაცხადები



სასარგებლო მოდელი გაცემული პატენტები



ეროვნული პროცედურით - იურიდიული პირები (უნივერსიტეტები)
ეროვნული პროცედურით - იურიდიული პირები (დანარჩენი)
ერონვული პროცედურით - ფიზიკური პირები
ეროვნული პროცედურით - უცხოური
საერთაშორისო პროცედურით

გამოგონება შემოსული განაცხადები



გამოგონება გაცემული პატენტები



ეროვნული პროცედურით - იურიდიული პირები (უნივერსიტეტები)
ეროვნული პროცედურით - იურიდიული პირები (დანარჩენი)
ერონვული პროცედურით - ფიზიკური პირები
ეროვნული პროცედურით - უცხოური
საერთაშორისო პროცედურით

ახალი ჯიშები შემოსული განაცხადები



ახალი ჯიშები რეგისტრირებული განაცხადები



ადგილობრივი - იურიდიული პირები
ადგილობრივი - ფიზიკური პირები
უცხოური - იურიდიული პირები
უცხოური - ფიზიკური პირები

სასაქონლო ნიშანი, გეოგრაფიული აღნიშვნა და დიზაინი

სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტში, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნულ ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე განსაკუთრებული უფლებების წარმოშობას, კერძოდ, კანონმდებლობით დადგენილი წესით ადგილობრივ და საერთაშორისო განაცხადებთან დაკავშირებული პროცედურებით შემოსული განაცხადების ექსპერტიზის საფუძველზე, შესაბამისი დამცავი დოკუმენტების გაცემას და რეესტრის წარმოებას, საანგარიშო წელს დამუშავდა 5000-მდე განაცხადი. აღნიშნულ ობიექტებთან დაკავშირებით, საანგარიშო წლის მონაცემის ანალიზი მიუთითებს შემდეგ ტენდენციებზე:

- გაიზარდა ელექტრონულად შემოტანილი განაცხადების რაოდენობა. ეროვნული პროცედურით შემოტანილი განაცხადების მთლიანმა რაოდენობამ შეადგინა 97%, აქედან, 85%-ზე მოთხოვნილი იყო საქმისწარმოების პროცესის სრულად ელექტრონულად წარმართვა;
- სასაქონლო ნიშნის ადგილობრივ განაცხადებში რაოდენობის მიხედვით წამყვან კლასებად გამოიკვეთა: 33-ე კლასი – ალკოჰოლიანი სასმელები (ლუდის გარდა) (369); 35-ე კლასი – რეკლამა, ბიზნესის მართვა, ბიზნესის ადმინისტრირება, საოფისე სამსახური (332); მე-5 კლასი – ფარმაცევტული პრეპარატები (250); 43-ე კლასი – საკვებით და სასმელით უზრუნველყოფა, დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფა (177) და 32-ე კლასი – ლუდი, არაალკოჰოლური სასმელები (120);
- სასაქონლო ნიშნების როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო განაცხადებში ლიდერობს განაცხადები საქონლისა და მომსახურების მე-5 კლასში (ფარმაცევტული პროდუქტები) – 968 განაცხადით, 35-ე კლასში (რეკლამა; ბიზნეს მენეჯმენტი; ბიზნესის ადმინისტრირება; საოფისე სამსახური) – 851 განაცხადით და მე-9 კლასში (კომპიუტერები და კომპიუტერის პერიფერიული მოწყობილობები) – 691 განაცხადით;
- ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის შეთანხმების ოქმით საქართველოდან საერთაშორისო ბიუროში გავრცელების მოთხოვნით გაიგზავნა 36 განაცხადი, საიდანაც 8 განაცხადი გაიგზავნა მადრიდის ელექტრონული ფაილინგის სისტემის „Madrid eFiling" საშუალებით, ხოლო შემდგომი გავრცელების მოთხოვნით გაიგზავნა 13 განაცხადი;
- სასაქონლო ნიშანზე შემოსული განაცხადების რაოდენობის მიხედვით, ლიდერობენ შემდეგი ქვეყნები: რუსეთის ფედერაცია (439), ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა (386), აშშ (360) და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა (246);
- დარეგისტრირდა გეოგრაფიული აღნიშვნა „ნინოწმინდის თაფლი";
- საანგარიშო წელს დარეგისტრირდა ქართული ღვინის ადგილწარმოშობის 4 დასახელება: „სალხინოს ოჯალეში", „წარაფი", „ახმეტა" (ახმეტის მწვანე) და „ახოები", რითაც ხაზი გაესვა მათ განსაკუთრებულ და მაღალ რეპუტაციას;
- სარეგისტრაციოდ შემოვიდა განაცხადი ორ გეოგრაფიულ აღნიშვნაზე – „ქვევრი" და „ხეთის მანდარინი" და ერთ ადგილწარმოშობის დასახელებაზე – „მაღრაანის ქისი";
- სსიპ „ღვინის ეროვნული სააგენტოს" მომართვის საფუძველზე, დაცული ადგილწარმოშობის დასახელებების ღვინოების წარმოების სპეციფიკაციების ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით, განხორციელდა ცვლილებები ღვინის წარმოების სპეციფიკაციაში. კერძოდ, დაზუსტდა ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლები და განისაზღვრა მაკონტროლებელი ორგანო 16 რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელებისთვის: „წინანდალი", „ნაფარეული", გურჯაანი", „ვაზისუბანი", „მანავი", „ატენი", „სვირი", „მუკუზანი", „ყვარელი", „თელიანი", „ქინძმარაული", „ახაშენი", „ტვიში", „ტიბაანი", „კარდენახი" და „კახეთი";
- შემოვიდა 40 განაცხადი სხვადასხვა ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის გამოყენების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნით, საიდანაც დარეგისტრირდა 39;
- დიზაინზე ეროვნული პროცედურით საქპატენტში შემოვიდა 58 განაცხადი, რაც ჯამში 176 დიზაინს შეიცავს, მათ შორის, 53 განაცხადი შემოტანილია ელექტრონული წესით, რაც საერთო რაოდენობის 91,4%-ს შეადგენს;
- დასრულდა საქმისწარმოება 2019 წელს შემოსულ დიზაინის ყველა განაცხადზე, დამცავი დოკუმენტი გაიცა 2020 წელს შემოსულ 22 განაცხადზე;
- საქპატენტში შემოტანილ ეროვნულ განაცხადებში ლოკარნოს საერთაშორისო კლასიფიკაციის შესაბამისად, რაოდენობის მიხედვით მოთხოვნადი კლასები იყო: 32-ე კლასი – გრაფიკული სიმბოლოები (15 განაცხადი), მე-9 კლასი – ტარა, საფუთავი, კონტეინერები (8 განაცხადი), 29-ე კლასი – უბედური შემთხვევის თავიდან ასაცილებელი ან საშველი მოწყობილობები და აღჭურვილობები (7 განახადი), მე-19 კლასი – საკანცელარიო და საკანტორო საკუთნო და სამარჯვები, მასალები და საკუთნო მხატვრული შემოქმედებისა და სწავლებისათვის (6 განაცხადი) და მე-11 -კლასი დეკორატიული ნაკეთობები (5 განაცხადი);
- დიზაინის საერთაშორისო განაცხადებში კვლავ აქტიურობდნენ განმცხადებლები შვეიცარიის კონფედერაციიდან (51 განაცხადი), ამასთან, საგრძნობლად მოიმატა განაცხადების რიცხვმა თურქეთიდან (14 განაცხადი), 9-9 განაცხადი დაფიქსირდა იტალიის და გერმანიის, ხოლო 8 განაცხადი დიდი ბრიტანეთის განმცხადებლების მიერ.

საანგარიშო წელს, უწყების სამოქმედო გეგმის შესაბამისად, დეპარტამენტში მიმდინარეობდა სასაქონლო ნიშნის, გეოგრაფიული აღნიშვნისა და დიზაინის განაცხადის წარდგენასთან და რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურების დახვეწა-გაუმჯობესება, მათი საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. კერძოდ:

- გაგრძელდა მუშაობა სასაქონლო ნიშნების ინსტრუქციის ცვლილების პროექტზე;
- გაგრძელდა WIPO-ს მიერ ადმინისტრირებადი პროგრამის „მადრიდის საქონლისა და მომსახურების მენეჯერის" (MGS) დამატებითი ჩამონათვალის ქართულ ენაზე თარგმნის სამუშაოები, რაც გაუადვილებს განმცხადებლებს სასაქონლო ნიშნის როგორც საქართველოში, ისე მადრიდის სისტემის წევრ ქვეყნებში რეგისტრაციის პროცედურას;
- EUGIPP-ის პროექტის ფარგლებში, საქპატენტმა გაიზიარა სასაქონლო ნიშნების პრაქტიკის სამი დოკუმენტი: განმასხვავებლობა – აღწერილობითი/არაგანმასხვავებელუნარიანი სიტყვების შემცველი გამოსახულებითი ნიშნები (CP3), შავ-თეთრი ნიშნების დაცვის ფარგლები (CP4) და ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შედარებითი საფუძვლები (აღრევის შესაძლებლობა (არაგანმასხვავებელუნარიანი/სუსტი ელემენტების გავლენა) (CP5), რომლებიც ითარგმნა და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახდა ქართულ ენაზე;
- ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყების (EUIPO) სასაქონლო ნიშნების საძიებო ინსტრუმენტში – TMClass საქონლის და მომსახურების 60000- მდე ტერმინი ითარგმნა ქართულ ენაზე;
- გაგრძელდა განაცხადების წარდგენისა და ექსპერტიზის ელექტრონული ფაილინგის სისტემის დახვეწისა და გაუმჯობესების პროცესი;
- WIPO-ს მიერ ადმინისტრირებული ინსტრუმენტის MECA-ს საშუალებით, საქპატენტის მონაცემთა ბაზაში დაიწყო იმ საერთაშორისო განაცხადების ავტომატური ასახვა, სადაც გავრცელების ქვეყნად მითითებულია საქართველო;
- დასრულდა მუშაობა „დიზაინის რეგისტრაციის თაობაზე" ინსტრუქციის ცვლილების პროექტზე, მათი თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანისა

და ექსპერტიზის პროცედურის დახვეწის მიზნით;

- დიზაინის დაცვის სისტემის დახვეწისა და ევროკავშირის კანონმდებლობასა და პრაქტიკასთან ჰარმონიზების მიზნით, „ინტელექტუალური საკუთრების შესახებ ევროკავშირისა და საქართველოს ერთობლივი პროექტის“ (EUGIPP) ფარგლებში, ითარგმნა და ქართულ და ინგლისურ ენებზე გამოქვეყნდა პრაქტიკის დოკუმენტი (CP6) „დიზაინის გრაფიკულად გამოსახვა“, რომელიც განკუთვნილია განმცხადებლების, ექსპერტების და სხვა დაინტერესებული პირებისათვის;
- საქპატენტი აქტიურად თანამშრომლობდა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციასთან (WIPO), მათ შორის, ერთიანი კონცეფციის შემუშავების თაობაზე ახალ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული ისეთი დიზაინების დაცვის მიზნით, როგორიცაა: მომხმარებლის გრაფიკული ინტერფეისი ელექტრონული მოწყობილობებისათვის, შრიფტი, პიქტოგრამა, ანიმაციური დიზაინი და სხვა.

სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ქმედებების განხორციელების პარალელურად, მომავალ 2021 წელს გაგრძელდება მუშაობა ექსპერტთა კვალიფიკაციის ამაღლების და ექსპერტიზის პროცესის შემდგომი დახვეწის სამუშაოები. კერძოდ, გეოგრაფიული აღნიშვნების და ადგილწარმოშობის დასახელებების სისტემის განვითარებისთვის, მომავალ წელს გაგრძელდება საქართველოს ფარგლებს გარეთ მათი დაცვისა და მათზე უფლებების აღსრულების ხელშეწყობის აქტივობები, გაგრძელდება ა(ა)იპ „ორიჯინ-საქართველოსთან“ თანამშრომლობა, როგორც ახალი გეოგრაფიული აღნიშვნების გამოვლენის, ისე დაცული ობიექტების სპეციფიკაციების დახვეწისა და სრულყოფის მიზნით. მომდევნო წლის სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს დიზაინის რეგისტრაციის თაობაზე ინსტრუქციის ცვლილების პრაქტიკაში დანერგვას, დიზაინის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანას, მათ შორის, აქტიურ მუშაობას WIPO-ს და EUIPO-ს ინსტრუმენტების დანერგვის მიმართულებით. გარდა ამისა, დაგეგმილია ნორმატიული აქტების პროექტების, ასევე, პრაქტიკის დოკუმენტების და სახელმძღვანელოების შემუშავება და იმპლემენტაცია.

სასაქონლო ნიშანი შემოსული განაცხადები

სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებული განაცხადები



ეროვნული პროცედურით - ადგილობრივი
ეროვნული პროცედურით - უცხოური
საერთაშორისო პროცედურით

გეოგრაფიული აღნიშვნა შემოსული განაცხადები



გეოგრაფიული აღნიშვნა რეგისტრირებული განაცხადები



ეროვნული პროცედურით - გეოგრაფიული აღნიშვნა
ეროვნული პროცედურით - ადგილწარმოშობის დასახელება
საერთაშორისო პროცედურით
გამოყენების უფლება

დიზაინი შემოსული განაცხადები



დიზაინი რეგისტრირებული განაცხადები



ეროვნული პროცედურით - იურიდიული პირი
ეროვნული პროცედურით - ფიზიკური პირი
ეროვნული პროცედურით - უცხოური
საერთაშორისო პროცედურით

საავტორო უფლებები

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – „საქპატენტი“, ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის მომართვის საფუძველზე, ახორციელებს ნაწარმოების დეპონირებას. 2020 წელს გაიცა 327 დეპონირების დამადასტურებელი მოწმობა, რითაც დადასტურდა მხოლოდ დეპონირების ფაქტი, ხოლო მოწმობაში მითითებული პირი მიჩნეულ იქნა ნაწარმოების ავტორად და საავტორო უფლებების მფლობელად. აღსანიშნავია, რომ ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, 2020 წელს პანდემიით (COVID -19) გამოწვეული ციფრულ სივრცეში საზოგადოების უმეტესი ნაწილის საქმიანობის ტრანსფორმაციამ განსაკუთრებით აქტუალური გახადა საავტორო უფლებების დაცვის საკითხი ციფრულ პლატფორმებზე.

ობიექტი	კატეგორია	2018	2019	2020
ლიტერატურის ნაწარმოები	აღწერილობა	1		8
	გადამუშავებული ნაწარმოები		1	1
	დრამატურგიული ნაწარმოები		1	
	თარგმანი	7	1	2
	კრებული	1	1	3
	ლიტერატურული ნაწარმოები	29	35	39
	მონოგრაფია	2		
	სინოფსისი	2	3	3
	სცენარი	36	28	22
	შედგენილი ნაწარმოები	3		4
	წიგნი	4	4	10
მეცნიერების ნაწარმოები	კომპიუტერული პროგრამა	47	11	16
	მეთოდური ნაშრომი	19	15	25
	მონოგრაფია			
	რუკა		1	
	სამეცნიერო ნაშრომი	30	31	48
	სამეცნიერო სტატია	2	3	4
	სამეცნიერო-მეთოდური ნაშრომი	11	24	32
	სახელმძღვანელო	9	15	10
	სხვა		1	1
	შედგენილი ნაწარმოები	3	10	3
	ქალაქმშენებლობა			
	წიგნი	1		
მონაცემთა ბაზა	მონაცემთა ბაზა		1	1

ობიექტი	კატეგორია	2018	2019	2020
ხელოვნების ნაწარმოები	არქიტექტურული პროექტი	18	3	4
	აუდიო-ვიზუალური ნაწარმოები	7	8	1
	გრაფიკა		1	2
	დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება	12	2	2
	დიზაინი	25	17	10
	დრამატურგიული ნაწარმოები	2		1
	ესკიზი	1	2	1
	ვიდეორგოლი			
	თეატრალურ-დეკორატიული ხელოვნება			
	ილუსტრაცია		1	6
	კინოფილმი			4
	ლოგო	9	5	4
	მონუმენტალური ხელოვნება		1	6
	მუსიკალური ნაწარმოები	8	4	8
	მუსიკალური ნაწარმოები ტექსტით		9	25
	მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოები	1		1
	მუსიკალური ნაწარმოები ტექსტით	22		
	საბაღე-საპარკო ხელოვნება			
	სახვითი ხელოვნების ნაწარმოები	8	9	9
	ფერწერა		14	
	ფოტოგრაფია	4	8	6
	ქანდაკება	4	2	3
	შედგენილი ნაწარმოები	1		

სამართალშემოქმედება და სამართალწარმოება

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – „საქპატენტი“ თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების სფეროში მოქმედი კანონმდებლობით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, რომლებიც სრულ შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან და ჰარმონიზებულია ევროკავშირის კანონმდებლობასთან. მიუხედავად ამისა, საქპატენტის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად რჩება ეროვნული კანონმდებლობის სრულყოფა და, თანამედროვე ტენდენციების შესაბამისად, ევროპულ და საერთაშორისო კანონმდებლობასთან შემდგომი დაახლოება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად საქპატენტის იურიდიულ დეპარტამენტში, საანგარიშო წელს ევროკავშირისა და სხვა საერთაშორისო საკანონმდებლო და პრაქტიკული გამოცდილების გათვალისწინებით, მომზადდა ცვლილებების პროექტები შემდეგ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში:

- საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულება;
- ინსტრუქცია დიზაინის რეგისტრაციის თაობაზე;
- ინსტრუქცია გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის განაცხადის გაფორმების, წარდგენისა და პატენტის გაცემასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ;
- ინსტრუქცია სასაქონლო ნიშანზე განაცხადის წარდგენისა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ.

2020 წელს ძალაში შევიდა საქპატენტის მიერ მომზადებული საქართველოს მთავრობის შემდეგი დადგენილებები:

- „პატენტით დაცული გამოგონების და სასარგებლო მოდელის გამოყენებისათვის სავალდებულო ლიცენზიების გაცემის წესისა და ლიცენზიების გაცემასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიმღები მუდმივმოქმედი საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ“ მთავრობის დადგენილება, სადაც განისაზღვრა სავალდებულო ლიცენზიის გამცემი საბჭოს შემადგენლობა, სავალდებულო ლიცენზიის გაცემის საფუძველი, გამოყენების ფარგლები და პირობები, ასევე, შემუშავდა პატენტით დაცული გამოგონების და სასარგებლო მოდელის გამოყენებისათვის სავალდებულო ლიცენზიების გაცემის წესი და პირობები.
- „ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების დაპატენტებასთან, რეგისტრაციასთან და დეპონირებასთან დაკავშირებული მომსახურების საფასურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის №182 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 3 დეკემბრის №723 დადგენილებით კორონავირუსის (COVID-19) პანდემიის პერიოდში, საქართველოს მთავრობის მხრიდან ბიზნესის მხარდასაჭერი დამატებითი ღონისძიებების ფარგლებში, ცვლილებები განხორციელდა ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების დაპატენტების, რეგისტრაციისა და დეპონირების საფასურებში. კერძოდ, ინტელექტუალური საკუთრების უწყების მხრიდან დაწესდა სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციისთვის დადგენილ საფასურებზე განაცხადების ელექტრონულად წარდგენის შემთხვევაში 50%-იანი შეღავათი. აღნიშნული შეღავათის მოქმედების ვადა განისაზღვრა 6 თვით – 2020 წლის 7 დეკემბრიდან 2021 წლის 6 ივნისის ჩათვლით.
- სსიპ – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის №181 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 მარტის №155 დადგენილებით ცვლილებები შევიდა საქპატენტის დებულებაში, რომლითაც ახლებურად განისაზღვრა საქპატენტის სტრუქტურა.

საქპატენტთან არსებულმა სააპელაციო პალატამ, რომელიც შექმნილია სამრეწველო საკუთრების ობიექტებზე საქპატენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებული დავების კოლეგიური წესით განხილვის მიზნით, შეუფერხებლად განაგრძო ფუნქციონირება 2020 წელს მსოფლიოში არსებული პანდემიის (COVID-19) მიუხედავად. პალატის საქმიანობა სრულად გადავიდა დისტანციურ რეჟიმზე, მათ შორის, სხდომები და საჩივრების განხილვა წარმოებდა კომუნიკაციის დისტანციური პლატფორმის გამოყენებით და არ შეფერხებულა საჩივრების მიღება და კანონით დადგენილ ვადებში მათი განხილვის პროცესი. 2020 წლის სტატისტიკური მონაცემები და მათზე დაყრდნობით გამოკვეთილი ტენდენციები შემდეგია:

- სააპელაციო პალატაში შემოვიდა 152 სააპელაციო საჩივარი, რომელთაგან უმ-რავლესობა (148) სასაქონლო ნიშანზე ექსპერტიზის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს ეხება;
- გასულ წელთან შედარებით, დაახლოებით 13,6%-ით შემცირდა სააპელაციო საჩივრების რაოდენობა;
- წლის მანძილზე განხილული საჩივრების რაოდენობამ შეადგინა 148, საიდანაც სრულად დაკმაყოფილდა 47, ნაწილობრივ – 9, ხოლო უარი ეთქვა 79-ს;
- საქპატენტის ექსპერტიზისა და სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, უწყების წინააღმდეგ სასამართლოში შევიდა 32 სარჩელი, რომლებზეც მიმდინარეობს სასამართლო საქმისწარმოება.

2021 წლის სამოქმედო გეგმის თანახმად, დაგეგმილია იურიდიული დეპარტამენტის მიერ კანონშემოქმედებითი საქმიანობის გაგრძელება ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებთან დაკავშირებული ინსტრუქციების შემდგომი დახვეწისა და სრულყოფის მიზნით, აგრეთვე, ნაწარმოების დეპონირების პროცედურასთან დაკავშირებით ინსტრუქციის შემუშავება.

ობიექტი		2018					2019					2020				
		მიღებული	განხილული	დაკმაყოფილებული სრულად	დაკმაყოფილებული ნაწილობრივ	უარი ეთქვა	მიღებული	განხილული	დაკმაყოფილებული სრულად	დაკმაყოფილებული ნაწილობრივ	უარი ეთქვა	მიღებული	განხილული	დაკმაყოფილებული სრულად	დაკმაყოფილებული ნაწილობრივ	უარი ეთქვა
გამოგონება	განმცხადებელი											2	1			
	III პირი															
სასარგებლო მოდელი	განმცხადებელი											1				
	III პირი															
დიზაინი	განმცხადებელი															
	III პირი	1	2	1		1					1	1	1			
სასაქონლო ნიშანი	განმცხადებელი	161	145	43	14	88	147	64	14	70	88	122	127	43	7	68
	III პირი	21	11	2		9	33	7	6	11	9	26	19	4	2	11
სულ		**183**	**158**	**46**	**14**	**98**	**180**	**71**	**20**	**81**	**98**	**152**	**148**	**47**	**9**	**79**

საგანმანათლებლო საქმიანობა

ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ცოდნის გავრცელების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის ბაზაზე ფუნქციონირებს ინტელექტუალური საკუთრების სასწავლო ცენტრი. აღნიშნული სტრუქტურული ერთეული ინტელექტუალური საკუთრების დარგში ცოდნის გაღრმავების მიზნით, სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფებისთვის განსაზღვრავს სწავლების ძირითად მიმართულებებს, ადგენს სასწავლო პროგრამებსა და ორგანიზებას უწევს სასწავლო პროცესს. მის ფუნქციებშია: სწავლების საჭიროებების ანალიზი, სწავლების მეთოდოლოგიის შემუშავება, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა და მათი საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

2020 წელს განახლდა ცენტრის საქმიანობის სამართლებრივი ჩარჩო და ცენტრის საქმიანობის პრიორიტეტულ ამოცანებად განისაზღვრა შემდეგი:

- ტრენერთა ბაზის ფორმირება და მათი უნარების გაძლიერება;
- მიზნობრივი ჯგუფების, მათ შორის, უწყების თანამშრომლების, კონკრეტულ საჭიროებებზე მორგებული სასწავლო აქტივობების განხორციელება;
- ახალი სასწავლო პროგრამების შედგენა.

საანგარიშო წელს გაგრძელდა შემდეგი საერთაშორისო სასწავლო პროექტები:

- WIPO-ს აკადემიის ტრენერთა ტრენინგის (TOT) პროგრამის ფარგლებში, ელექტრონული სწავლებისთვის საჭირო უნარების განვითარების ორთვიანი ინტენსიური კურსი;
- WIPO-ს აკადემიის პროფესიული განვითარების პროგრამის (PDP) ფარგლებში, საერთაშორისო სასწავლო კურსი „გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ“, რომელსაც დისტანციურ ფორმატში 17 ქვეყნის 30 წარმომადგენელი დაესწრო. მონაწილეები გაეცნენ გეოგრაფიული აღნიშვნების სამართლებრივი დაცვის მექანიზმებს, სხვადასხვა სამართლებრივ სისტემებს და საერთაშორისო პრაქტიკას, მათ შორის, საქართველოს გამოცდილებას. კურსს, საერთაშორისო ექსპერტებთან ერთად, უძღვებოდნენ საქპატენტის სასწავლო ცენტრის ტრენერები;
- WIPO-ს აკადემიასთან თანამშრომლობით ჩატარდა საქპატენტის მიერ ქართულ ენაზე ნათარგმნი და ქართული კანონმდებლობის შესაბამისად დამუშავებული ინტელექტუალური საკუთრების დისტანციური სწავლების ზოგადი კურსის (DL101GE) ორი სესია, რომლებიც გამოირჩეოდა როგორც რეგისტრირებულთა, ისე სერტიფიცირებულთა რაოდენობით: მე-5 სესიაზე დარეგისტრირდა 256 მონაწილე, ფინალური გამოცდა წარმატებით ჩაბარა 117-მა მსმენელმა. მე-6 სესიაზე დარეგისტრირდა 594 მონაწილე, ფინალური გამოცდა წარმატებით ჩაბარა 319-მა მსმენელმა. 2020 წელს ინტელექტუალური საკუთრების ზოგადი კურსის ორივე სესიაზე ჯამში 850 პირი დარეგისტრირდა. კურსის წარმატებით გავლის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი გადაეცა 436 კურსდამთავრებულს.

აღსანიშნავია, რომ საქპატენტის სასწავლო ცენტრი გახდა WIPO-ს მიერ ადმინისტრირებული პლატფორმის „IP Virtual Network” წევრი.

გარდა ამისა, გამოვლენილ საჭიროებებზე დაყრდნობით, საერთაშორისო პარტნიორების დახმარებით დაიგეგმა და განხორციელდა სხვადასხვა სასწავლო აქტივობა. მათ, შორის:

- ევროკავშირისა და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების შესახებ პროექტის (EUGIPP) ერთ-ერთი კომპონენტის „ინტელექტუალური საკუთრება განათლებაში“ (IP in education) ფარ-

გლებში, თბილისის, რუსთავის და გორის 6 საჯარო სკოლის 12 მასწავლებელმა გაიარა სპეციალური მომზადება, შემოქმედებითობის და ინტელექტუალური საკუთრების ცნებების სწავლებისთვის სათანადო უნარ-ჩვევების მისაღებად. მასწავლებლებმა 260 გაკვეთილი ჩაუტარეს 400-მდე მოსწავლეს. პროექტის მიზანი იყო ზოგადი განათლების სისტემაში ინტელექტუალური საკუთრების ინტეგრირება, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში საგამომგონებლო კომპეტენციების განვითარებას.

ინტელექტუალური საკუთრების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, სამიზნე ჯგუფებში განხორციელდა შემდეგი სასწავლო აქტივობები:

- ვებინარი „ინტელექტუალური საკუთრება სამეწარმეო საქმიანობაში“ „ჯუნიორ ეჩივმენტ საქართველოს“ პროგრამის „იყავი მეწარმე“ ფარგლებში – პანკისის ხეობის სკოლების მოსწავლეებისთვის. შედეგად, 30 მოსწავლე გაეცნო ინტელექტუალური საკუთრების როლს და მისი დაცვის მექანიზმებს სამეწარმეო საქმიანობაში;
- ტრენინგი „გეოგრაფიული აღნიშვნების მნიშვნელობა“ – „ნინოწმინდის თაფლის“ მწარმოებელი ასოციაციის წევრებისთვის, მეფუტკრეებისა და სხვა დაინტერესებული პირებისთვის. 20 მონაწილე გაეცნო გეოგრაფიული აღნიშვნების მნიშვნელობას სამეწარმეო საქმიანობაში და მიიღეს ინფორმაცია დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის განვითარების სტრატეგიის შემუშავების შესახებ;
- ონლაინ ტრენინგი „საავტორო უფლებები“ – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის 25 თანამშრომლისთვის. მონაწილეებს მიეწოდათ ინფორმაცია იმ ვალდებულებებზე, რომლებიც წარმოიშობა საავტორო უფლებებით დაცული ნაწარმოებების გამოყენებისას;
- ვებინარი „როგორ ვაქციოთ იდეა ინოვაციად“ „ევროკავშირი ახალგაზრდებისთვის (EU4YOUTH) – საზღვრისპირა მუნიციპალიტეტებში სოციალური მეწარმეობის ეკოსისტემების განვითარება მწვანე ზრდისთვის“ პროექტის ფარგლებში – გორისა და ნინოწმინდის სკოლის მოსწავლეთათვის;
- ვებინარი „ინტელექტუალური საკუთრება და ინოვაციები“ – სოციალური ინოვაციების პროგრამის 60 ბენეფიციარისთვის;
- ინტელექტუალური საკუთრების სამართლის საზაფხულო სკოლა ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაციასთან „ელსა საქართველო“ (ELSA Georgia) თანამშრომლობით – მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 30 სტუდენტისთვის;
- ინტელექტუალური საკუთრების სწავლების მეთოდოლოგიაში ოთხთვიანი პროგრამით გადამზადდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამაგისტრო საფეხურის 10 სტუდენტი;
- საქპატენტის თანამშრომლების პროფესიული კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ტრენინგ-საჭიროებების კვლევის საფუძველზე, დაიგეგმა და განხორციელდა 14 სასწავლო აქტივობა:
  - ✓ ვებინარების სერია „სასაქონლო ნიშნებთან დაკავშირებული დავების განხილვა“, „საპატენტო დავები“ და „კომერციული საიდუმლოება“ განხორციელდა თანამშრომელთა პროფესიული კვალიფიკაციის ასამაღლებლად აშშ-ის სავაჭრო დეპარტამენტის კომერციული სამართლის განვითარების პროგრამის (CLDP) მხარდაჭერით, ამერიკის საქონლო ნიშნებისა და საპატენტო უწყების (USPTO) იურისტების და მოსამართლეების მიერ.
  - ✓ ტრენინგი „ზოგადი მენეჯმენტი“ მენეჯერული რგოლის თანამშრომელთათვის პროფესიული განვითარების ხელშეწყობისა და პანდემიით გამოწვეული დისტანციური მუშაობის რეჟიმში ეფექტიანი მართვის უზრუნველსაყოფად;
  - ✓ კურსი „მომსახურების სტანდარტები“ მოქალაქეთა მომსახურების სამმართველოს თანამშრომლებისთვის, პროფესიული განვითარებისა და მომხმარებელთა ეფექტიანი მომსახურების უნარ-ჩვევების განსავითარებლად;
  - ✓ ტრენინგი „პერსონალურ მონაცემთა დაცვა“ სახელმწიფო ინსპექტორის აპარატთან თანამშრომლობით, უწყების ყველა სპეციალისტისთვის.

სასწავლო ცენტრის კატალოგში ახალი პროგრამების დანერგვის მიზნით, საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით, საანგარიშო წელს დაიწყო EUIPO-ს აკადემიის შემდეგი სასერტიფიკაციო დისტანციური სასწავლო კურსის ქართულ ენაზე თარგმნის პროცესი: „ინტელექტუალური საკუთრება, როგორც ბიზნესის დამატებითი ღირებულება“; „მცირე და საშუალო საწარმოს გამოცდილება“; „სასაზღვრო დეპარტამენტის როლი ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულებაში“; „ბიზნეს ფორმები, რომლებიც არღვევენ ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს ონლაინ“; „თავისუფალი სავაჭრო ზონების როლი კონტრაფაქციაში“ და „ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულება“.

საქპატენტის სასწავლო ცენტრის მომავალი წლის სამოქმედო გეგმა მოიცავს ინტელექტუალური საკუთრების საკითხების როგორც არაფორმალური, ისე საშუალო და უმაღლესი განათლების სისტემაში ინტეგრირების პროცესზე მუშაობის გაძლიერებას, მათ შორის, გაგრძელდება მოლაპარაკება WIPO-ს აკადემიასთან საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების სამაგისტრო პროგრამის დანერგვის თაობაზე. გეგმაშია საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის გაგრძელება, ზუსტი და საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმში ინტელექტუალური საკუთრების სწავლების ელემენტების შეტანის მიმართულებით და სტუდენტებისთვის სპეციალური პროექტების შემუშავება. ასევე, დაგეგმილია საჭიროებების გამოვლენა და მათზე მორგებული სასწავლო აქტივობების განხორციელება მოსამართლეებისთვის და მეწარმეებისთვის საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

საზოგადოებასთან ურთიერთობა

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა საზოგადოებასთან ურთიერთობა, რომელიც მიზნად ისახავს დარგის პოპულარიზაციას, უწყების ცნობადობისა და ნდობის გაზრდას.

2020 წელს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალა პანდემიის პირობებში უწყების წინაშე მდგარი ახალი გამოწვევების საინფორმაციო მხარდაჭერა. შესაბამისად, საანგარიშო წელს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა განახორციელა შემდეგი საქმიანობა:

- სერვისების გაწევისა თუ უწყებაზე დაკისრებული სხვა ფუნქციების შესრულების პროცესში შეფერხებების გამორიცხვა, მეტწილად, დამოკიდებული იყო განმცხადებლების ინფორმირებულობაზე. შესაბამისად, ტრადიციული თუ ახალი მედიაარხების (ინტერნეტი, ოფიციალური ვებგვერდი, ანგარიშები სოციალურ ქსელებში, ელექტრონული ფოსტა) გამოყენებით, ხორციელდებოდა საზოგადოების დროული, ამომწურავი ინფორმაციით უზრუნველყოფა უწყების მუშაობის რეჟიმისა და სერვისების დისტანციურად მიღების გზებზე.
- საგანმანათლებლო პროექტების მხარდაჭერისთვის დაიგეგმა და განხორციელდა სასწავლო ცენტრის საიმიჯო კამპანია და ცალკეული სასწავლო კურსების პოპულარიზაციისკენ მიმართული ღონისძიებები. კამპანიის ამოცანად განისაზღვრა მიზნობრივი ჯგუფის – მცირე და საშუალო მეწარმეების, სტარტაპერების, გამომგონებლების, შემოქმედებითი ინდუსტრიის წარმომადგენლების, ჟურნალისტების, იურისტების, საჯარო მოხელეებისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლების დაინტერესება სასწავლო ცენტრის პროგრამით. აღნიშნული აქტივობების შედეგად, გაიზარდა სასწავლო ცენტრისადმი მიმართვიანობა და კონკრეტულ კურსებზე 2020 წლის განმავლობაში დარეგისტრირდა 1000-მდე პირი.
- ტრადიციულად, უწყება ჩართული იყო ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის მიერ დაარსებული ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო დღის – 26 აპრილის აღნიშვნის ყოველწლიურ კამპანიაში, რომლის მიზანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის შესახებ. 2020 წელს WIPO-მ წლის თემად დაასახელა „ინოვაციები მწვანე მომავლისთვის“. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა, ინტელექტუალური საკუთრების დარგის მიმართ ინტერესის გამოსაწვევად, წლის თემის შესაბამისად და პანდემიის გათვალისწინებით, გამოიყენა სოციალური მედიის პლატფორმა და შესაბამისი ინსტრუმენტები. მოძიებულ იქნა საქართველოს პატენტები და რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნები, რომლებიც დაკავშირებულია ეკოლოგიასა და მწვანე მომავლის შექმნასთან. მათ შესახებ შეიქმნა 16 შემეცნებითი მასალა (პოსტები და პოსტერები), რომელიც მიწვდა სოციალური მედიის 462120 მომხმარებელს.
- საანგარიშო წელსაც უწყება, ტრადიციულად, შეუერთდა გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) მიერ დაფუძნებულ წიგნისა და საავტორო უფლებების მსოფლიო დღეს – 23 აპრილს, რომელიც 2020 წელს ონლაინრეჟიმში აღინიშნა. საქპატენტმა მხარი დაუჭირა საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებს და ოფიციალური არხების საშუალებით გაავრცელა ინფორმაცია ქართველ მწერლებთან და ლიტერატურის სფეროს წარმომადგენლებთან ონლაინჩართვებისა და „წიგნების თაროს“ ონლაინთამაშების შესახებ.
- გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის სისტემის პოპულარიზაციის მიზნით, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა შეიმუშავა ღონისძიების ფორმატი, რომელიც მიზნად ისახავს ახალი გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ საზოგადოების ინფორმირებას, რამაც, ასევე, ხელი შეუწყო მწარმოებლებს პროდუქტის პოპულარიზაციაში.
- ბიზნესის მხარდასაჭერად, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა ინიცირება გაუკეთა პროექტს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე 50%-იანი შეღავათის დაწესების შესახებ, რომელიც მიზნად ისახავდა პანდემიის პერიოდში კერძო სექტორის წახალისებას. საფასურებზე 50%-იანი შეღავათის მოქმედება დაიწყო 2020 წლის 7 დეკემბრიდან.
- 2020 წელს საქპატენტის მიერ კოლექტიურ ნიშნად „ტეკილას“ რეგისტრაციის აღსანიშნავად, ასევე, საქართველოს ბაზარზე ტეკილას პოპულარიზაციასა და მექსიკის ბაზარზე ქართული ღვინის ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით, დაიგეგმა და განხორციელდა რიგი აქტივობები: „ტეკილას“ კოლექტიურ ნიშნად რეგისტრაციის მოწმობის საზეიმოდ გადაცემის ცერემონია; ღონისძიების მასმედიით გაშუქება, კერძოდ, ტეკილას მარეგულირებელი საბჭოს პრეზიდენტის მიგელ ანგელ დომინგო მორალესის სატელევიზიო ინტერვიუ; დელეგაციის წევრებისთვის ქართული, კერძოდ, ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოების გამოფენა-დეგუსტაცია.

საგამომცემლო და საინფორმაციო საქმიანობა

ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ინოვაციური საქმიანობის საფუძვლად აღიარებული საპატენტო ინფორმაცია და მისი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა უწყების ერთ-ერთი ფუნქციაა, რომელიც მდგომარეობს ამ ინფორმაციის ფორმირებადამუშავებასა და გავრცელებაში. აღნიშნული ფუნქციის შესრულების მიზნით, 2020 წელს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ საგამომცემლო სამმართველომ განახორციელა შემდეგი საქმიანობა:

- გამოიცა სამრეწველო საკუთრების ოფიციალური ბიულეტენის 24 ქართულენოვანი და 24 ინგლისურენოვანი ნომერი. ბიულეტენებში ქვეყნდება ინფორმაცია სამრეწველო საკუთრების ობიექტების შესახებ, მათ შორის, განაცხადების მონაცემები, ექსპერტიზის მიერ გამოტანილი დადებითი გადაწყვეტილება და ყველა იმ ობიექტების ნუსხა, რომლებზეც გაიცემა დამცავი დოკუმენტები, ასევე, შეტყობინებები ბათილად ცნობის, გაუქმების, უფლებების გადაცემის და სხვა ცვლილებების შესახებ;
- გამოიცა სამრეწველო საკუთრების ოფიციალური ბიულეტენის სპეციალური გამოშვების 2 ნომერი: ევროკავშირში დაცული სოფლის მეურნეობისა და სხვა საკვები პროდუქტების გეოგრაფიული აღნიშვნები და გეოგრაფიულ აღნიშვნად ქართული, ტრადიციული საღვინე ჭურჭლის „ქვევრი“ სარეგისტრაციო მასალები;
- გამოიცა მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების დაცვის ბიულეტენის 2 ნომერი;
- განხორციელდა გამოგონებისა და სასარგებლო მოდელების ადგილობრივი, თუ საერთაშორისო განაცხადების აღწერილობებისა და რეფერატების რადაქტირება და თარგმნა; მომზადდა პატენტთან ერთად გასაცემი გამოგონებებისა და სასარგებლო მოდელის 186 აღწერილობა;
- გამოიცა 21 დასახელების საინფორმაციო ბროშურა ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებისა და საერთაშორისო კონვენციების შესახებ, ასევე, WIPO-სა და EPO-ს პუბლიკაციები;
- გამოიცა პრაქტიკის დოკუმენტები: „CP3“, „CP4“, „CP5“ და „CP6“;
- დაიბეჭდა „ხარისხის მართვის სახელმძღვანელო“ და სხვ.

აღნიშნული მასალები მატერიალური ფორმით შეემატა უწყებასთან არსებულ ინტელექტუალური საკუთრების ბიბლიოთეკას, რომელშიც დაცულია ადგილობრივი და უცხოური საპატენტო ინფორმაციის მუდმივად განახლებადი ფონდი და 1200-მდე დასახელების დარგობრივი ლიტერატურა. აღსანიშნავია, რომ ბიბლიოთეკის სერვისები უსასყიდლოდაა ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისთვის.

საპატენტო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, საპატენტო მასალების ელექტრონულ ვერსიებს დაინტერესებული პირები შეიძლება გაეცნონ უწყების ოფიციალურ ვებგვერდზე (www.sakpatenti.gov.ge). 2020 წელს გაგრძელდა საქპატენტის ვებგვერდზე იურიდიული ხასიათის მასალების, მათ შორის, საapელაციო პალატის გადაწყვეტილებებისა და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის ოპერატიულად განთავსება.

მონაცემთა ბაზების სრულყოფის მიზნით, 2020 წელს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამმართველომ საერთაშორისო პარტნიორების დახმარებით განახორციელა საერთაშორისო ბაზებთან ინტეგრირებისა და ახალი ინსტრუმენტების დამატების სამუშაოები. საანგარიშო წელსაც შეუფერხებლად გაგრძელდა თანამშრომლობა და ინფორმაციის ავტომატური გენერირება საერთაშორისო ბაზებთან, კერძოდ:

- WIPO-ს საპატენტო საძიებო სისტემაში „Patentscope“, რომლშიც თავმოყრილია როგორც სართაშორისო საპატენტო განაცხადები (PCT განაცხადები), ისე მრავალი ქვეყნის ეროვნული საპატენტო განაცხადები და პატენტები;
- WIPO-ს მიერ ადმინისტრირებულ საძიებო ბაზებში:
  - ✓ სასაქონლო ნიშნების მონაცემთა ბაზა“Global Brand Database”, რომელშიც ხდება მადრიდის სისტემის მონაწილე 55 ქვეყნის მიერ რეგისტრირებული და სარეგისტრაციოდ წარდგენილი სასაქონლო ნიშნების შესახებ ინფორმაციის განთავსება;
  - ✓ დიზაინის მონაცემთა ბაზა „Global Design Database”, რომელშიც ხდება ჰააგის მადრიდის სისტემით რეგისტრირებული და ჰააგის შეთანხმების მონაწილე მხარეების მიერ დარეგისტრირებული დიზაინების შესახებ ინფორმაციის განთავსება;
- ევროპის საპატენტო უწყების (EPO) საპატენტო საძიებო სისტემაში „Espacenet”, რომელშიც თავმოყრილია 100-ზე მეტი ქვეყნის 120 მილიონი საპატენტო დოკუმენტი;
- EUIPO-ს მიერ ადმინისტრირებულ საძიებო სისტემებში:
  - ✓ სასაქონლო ნიშნების ვიზუალური საძიებო სისტემა „TMView“;
  - ✓ დიზაინის ვიზუალური საძიებო სისტემა „DesignView“;
  - ✓ საქონლის კლასიფიკაციისა და მომსახურების (ტერმინების) საძიებო სისტემა „TMClass“;
  - ✓ დიზაინის პროდუქტის დასახელებების კლასიფიკაციის საძიებო სისტემა „DesignClass“;
- UPOV-ის მცენარეთა ჯიშების მონაცემთა საერთაშორისო ბაზაში „PLUTO”, რომელშიც ხდება რეგისტრირებულ მცენარეთა ახალ ჯიშებზე ინფორმაციის განთავსება;
- რეგიონულ საპატენტო-საინფორმაციო სისტემაში „Cispatent”, რომელსაც ადმინისტრირებას უწევს რუსეთის ინტელექტუალური საკუთრების ფედერალური სამსახური.

2020 წელს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამმართველოს მიერ შემუშავდა რიგი პროგრამული გადაწყვეტილებები, რომლთა საშუალებითაც გაუმჯობესდა მომხმარებლებისთვის ძიების პროცესი, შემუშავდა ძიების შედეგების ფილტრირება, ბაზის უსაფრთხოების პროგრამული უზრუნველყოფა, მომხმარებელს პორტალზე ძველი საქმეების მოძიების შესაძლებლობა მიეცა და გამარტივდა ვიზუალური და ინფორმაციული მხარე.

საქპატენტის მთავარ პრიორიტეტად კვლავაც რჩება ინტელექტუალური საკუთრების სისტემის მომხმარებლებისა და განმცხადებლებისათვის მაღალი ხარისხის, კვალიფიციური, დროული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მომსახურების მიწოდება. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- მოწვეული ექსპერტისა და მომსახურების დეპარტამენტის მოქალაქეთა მომსახურების სამმართველოს თანამშრომელთა თანამონაწილეობით შემუშავდა და დასამტკიცებლად მომზადდა მომსახურების სტანდარტის დოკუმენტი, რომლის მიზანია ქცევისა და კომუნიკაციის ზოგადი წესების განსაზღვრა, რომელთა დაცვაც დაეხმარება მომსახურების გაწევაზე პასუხისმგებელ თანამშრომლებს საქპატენტის სახელით სერვისების მაღალი ხარისხით მიწოდებასა და მომსახურების კიდევ უფრო პოზიტიური გამოცდილების შექმნაში;
- ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით, ნაწილობრივ დისტანციურ რეჟიმში მუშაობის მიუხედავად 2020 წლის განმავლობაში, მოქალაქეთა მისაღებ სივრცეში კონსულტაცია გაეწია 680 მომხმარებელს, სატელეფონო კონსულტაცია კი გაეწია 10401 პოტენციურ განმცხადებელს;
- 2020 წელს მომსახურების დეპარტამენტის მოქალაქეთა მომსახურების სამმართველოს მიერ დამუშავდა 516 განაცხადი გამოგონებაზე, სასარგებლო მოდელზე, დიზაინზე, სასაქონლო ნიშანსა და გეოგრაფიულ აღნიშვნაზე, მცენარეთა და ცხოველთა ახალ ჯიშზე და საავტორო უფლებებით დაცული ნაწარმოებების დეპონირებაზე და 49 სააპელაციო საჩივარზე. საანგარიშო პერიოდში, მოქალაქეთა მომსახურების სამმართველოს ფაილინგ ჯგუფის მიერ, ასევე, დამუშავდა 21199 ერთეულ განაცხადთან და სააპელაციო საჩივართან დაკავშირებული დამატებითი მასალები და დოკუმენტაცია.

მომხმარებელთა კმაყოფილების დადგენის მიზნით, მიმდინარე კვლევაში მონაწილეობა მიიღო 690-მა პირმა, რომელთაგან უმრავლესობამ სატელეფონო მომსახურებას უმაღლესი შეფასება მისცა. გამოკითხვის შედეგების გადანაწილება შემდეგია: უმაღლესი შეფასება (5 ქულა) – 632 პირი; კარგი შეფასება (4 ქულა) – 32 პირი; სხვადასხვა შეფასება – 26 პირი.

ფინანსური მაჩვენებლები

საქპატენტის დაფინანსება ხორციელდება ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების დაპატენტებასთან, რეგისტრაციასა და დეპონირებასთან დაკავშირებული მომსახურებიდან მიღებული შემოსავლით, რითიც უწყება უზრუნველყოფს ყველა ხარჯის, მათ შორის, საოპერაციო ხარჯების დაფინანსებას. საქპატენტს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება არ გააჩნია.

ფულადი შემოსავალი, წინა წელთან შედარებით, გაიზარდა 2,648.8 ათასი ლარით, რაც დიდწილად განპირობებულია არარეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირებისგან უცხოურ ვალუტაში მიღებული შემოსავლით. აღსანიშნავია, რომ შემოსავლების უდიდეს ნაწილს უწყება იღებს უცხოურ ვალუტაში, კერძოდ, შვეიცარიულ ფრანკში, რომელიც დაკავშირებულია საქართველოში სასაქონლო ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის გავრცელებასთან. რაც შეეხება რეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის გაწეულ მომსახურებას, საფასურები დადგენილია აშშ დოლარში (ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში).

ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების დაპატენტებასთან, რეგისტრაციასთან და დეპონირებასთან დაკავშირებული მომსახურების საფასურები დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის მიერ (2010 წლის 3 ივლისის №182 დადგენილება).

სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის შესაბამისად, 2020 წლისათვის გაფორმდა 145 გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულება საერთო ღირებულებით 469.1 ათასი ლარი. ელექტრონული ტენდერის პროცედურებით გაფორმდა 10 ხელშეკრულება, საერთო ღირებულებით 473.4 ათასი ლარი. კონსოლიდირებული შესყიდვის პროცედურებით გაფორმდა 21 ხელშეკრულება, საერთო ღირებულებით 181.0 ათასი ლარი. წლის განმავლობაში განხორციელებული შესყიდვებით მიღებული იქნა 18.3 ათასი ლარის ეკონომია განპირობებული ელექტრონული ტენდერების დროს მიღებული ვაჭრობის შედეგებით.

შემოსავლების და გადასახდელების დინამიკა



ბიუჯეტის შემოსავლები (საკასო მაჩვენებლები)
ათასი ლარი

დასახელება	დაზუსტებული გეგმა	მიღებული შემოსავალი	შედეგი +/-
შემოსავლები არარეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის განეული მომსახურებიდან	9,000.0	11,332.0	2,332.0
შემოსავლები რეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის განეული მომსახურებიდან	4,000.0	4,042.5	42.5
შემოსავლების ჯამი	**13,000.0**	**15,374.5**	**2,374.5**

ბიუჯეტის გადასახდელები (საკასო მაჩვენებლები)
ათასი ლარი

დასახელება	დაზუსტებული გეგმა	გადასახდელები საკუთარი სახსრები	შედეგი +/-
შრომის ანაზღაურება	**4,373.2**	**3,578.3**	**-794.9**
მ.შ. თანამდებობრივი სარგო	3,936.8	3,498.6	-438.2
მ.შ. პრემია	336.4	6.7	-329.7
მ.შ. დანამატი	100.0	72.9	-27.1
საქონელი და მომსახურება	**2,396.5**	**1,609.7**	**-786.8**
გრანტი	**216.1**	**216.1**	**0.0**
სოციალური უზრუნველყოფა	**210.0**	**62.5**	**-147.5**
სხვა ხარჯები	**2,745.0**	**1,908.8**	**-836.2**
მ.შ. კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადები	2,700.0	1,771.6	-928.4
არაფინანსური აქტივების ზრდა	**540.0**	**227.2**	**-312.8**
გადასახდელების ჯამი	**10,480.8**	**7,602.6**	**-2,878.2**

სტატისტიკური მონაცემები 2020

გამოგონება

პროცედურის და განმცხადებლის სტატუსის მიხედვით				შემოსული განაცხადები			რეესტრში შეტანილი პატენტები		
				2018	2019	2020	2018	2019	2020
ეროვნული პროცედურით	ადგი-ლობრივი	იურიდიული პირი	უნივერსიტეტები	18	21	18	10	8	10
			დანარჩენი	7	5	6	2	3	6
		ფიზიკური პირი		75	61	57	24	20	29
		უცხოური		6	1	0	0	4	4
საერთაშორისო პროცედურით				151	110	134	97	80	103
სულ				**257**	**198**	**215**	**133**	**115**	**152**

2020 წელს შემოსული განაცხადები



2020 წელს რეესტრში შეტანილი პატენტები



PCT განაცხადი – საქპატენტი მიმღები უწყება	შემოსული განაცხადები		
	2018	2019	2020
იურიდიული პირი	0	0	1
ფიზიკური პირი	5	4	4
სულ	**5**	**4**	**5**

2020 წელს PCT განაცხადი – საქპატენტი მიმღები უწყება

წინასწარი ძიება	შემოსული განაცხადები		
	2018	2019	2020
GITA	148	119	106
რუსთაველის ფონდი	150	0	0
დანარჩენი	24	24	21
სულ	**322**	**143**	**127**

2020 წელს ჩატარებული წინასწარი ძიების რაოდენობა



შემოსული განაცხადები დარგების მიხედვით	ეროვნული პროცედურით ადგილობრივი	საერთაშორისო პროცედურით
A (ადამიანის პირველადი მოთხოვნილების საგნები)	33	91
B (ტექნოლოგიური პროცესები)	14	13
C (ქიმია; მეტალურგია)	10	15
D (საფეიქრო ნაწარმი)	0	0
E (მშენებლობა; სამთო საქმე)	6	6
F (მექანიკა)	5	5
G (ფიზიკა)	11	2
H (ელექტრობა)	2	2
სულ	**81**	**134**



შემოსული განაცხადები ქვეყნების მიხედვით	
GE	77
US	44
RU	22
DE	18
CH	8
IT	6
CA	5
GB	4
CN	4
IN	3
ES	3
BE	3
NO	2
IL	2
IE	2
HU	2
FR	2
SE	1
NL	1
LT	1
KR	1
JP	1
DK	1
CZ	1
AT	1
სულ	**215**



ძალადაკარგული პატენტების რაოდენობა პროცედურის და განმცხადებლის სტატუსის მიხედვით		
ეროვნული პროცედურა	ადგილობრივი	50
	უცხოური	15
საერთაშორისო პროცედურა		116
სულ		**181**



სასარგებლო მოდელი

პროცედურის და განმცხადებლის სტატუსის მიხედვით				შემოსული განაცხადები			რეესტრში შეტანილი პატენტები		
				2018	2019	2020	2018	2019	2020
ეროვნული პროცედურით	ადგი-ლობრივი	იურიდიული პირი	უნივერსიტეტები	4	5	2	2	4	1
			დანარჩენი	1	7	2	3	1	3
		ფიზიკური პირი		51	60	53	34	23	29
	უცხოური			2	2	5	1	2	0
საერთაშორისო პროცედურით				0	1	3	2	0	1
სულ				**58**	**75**	**65**	**42**	**30**	**34**





შემოსული ადგილობრივი განაცხადების რაოდენობა დარგების მიხედვით	
A (ადამიანის პირველადი მოთხოვნილების საგნები)	26
B (ტექნოლოგიური პროცესები)	8
C (ქიმია; მეტალურგია)	7
D (საფეიქრო ნაწარმი)	0
E (მშენებლობა; სამთო საქმე)	5
F (მექანიკა)	4
G (ფიზიკა)	5
H (ელექტრობა)	2
სულ	**57**



ᲓᲘᲖᲐᲘᲜᲘ

პროცედურის და განმცხადებლის სტატუსის მიხედვით			შემოსული განაცხადები			რეგისტრირებული განაცხადები		
			2018	2019	2020	2018	2019	2020
ეროვნული პროცედურით	ადგილობრივი	იურიდიული პირი	14	9	14	14	7	9
		ფიზიკური პირი	29	54	30	32	19	30
		უცხოური	13	7	14	10	8	3
საერთაშორისო პროცედურით			126	139	146	145	100	174
სულ			**182**	**209**	**204**	**201**	**134**	**216**

2020 წელს შემოსული განაცხადები



2020 წელს რეგისტრირებული განაცხადები



შემოსული ადგილობრივი განაცხადების რაოდენობა კლასების მიხედვით		
კლასი	რაოდენობა	
32	7	16%
29	7	16%
9	6	14%
11	5	11%
19	4	9%
6	4	9%
1	3	7%
18	2	5%
7	2	5%
23	1	2%
12	1	2%
10	1	2%
2	1	2%
სულ	**44**	**100%**



შემოსული უცხოური განაცხადების რაოდენობა კლასების მიხედვით		
კლასი	რაოდენობა	
32	8	57%
19	2	15%
9	2	14%
24	1	7%
20	1	7%
სულ	**14**	**100%**



შემოსული საერთაშორისო განაცხადების რაოდენობა კლასების მიხედვით		
კლასი	რაოდენობა	
11	32	22%
9	22	15%
10	19	13%
21	10	7%
2	9	6%
7	7	5%
12	7	5%
3	6	4%
14	5	3%
24	4	3%
15	3	2%
25	3	2%
6	2	1%
8	2	1%
13	2	1%
16	2	1%
27	2	1%
32	2	1%
4	1	1%
18	1	1%
20	1	1%
23	1	1%
26	1	1%
28	1	1%
31	1	1%
სულ	**146**	**100%**



შემოსული ეროვნული განაცხადების რაოდენობა ქვეყნების მიხედვით		
ქვეყნის კოდი	რაოდენობა	
GE	44	76%
RU	9	15%
BE	2	3%
FR	1	2%
KR	1	2%
UA	1	2%
სულ	**58**	**100%**



შემოსული საერთაშორისო განაცხადების რაოდენობა ქვეყნების მიხედვით		
ქვეყნის კოდი	რაოდენობა	
CH	51	35%
TR	14	10%
IT	9	6%
DE	9	6%
GB	8	5%
US	7	5%
RU	7	5%
EM	7	5%
SE	5	3%
PL	5	3%
NL	3	2%
KR	3	2%
FR	3	2%
UA	2	1%
SG	2	1%
JP	2	1%
BG	2	1%
VN	1	1%
LV	1	1%
LU	1	1%
HU	1	1%
ES	1	1%
CA	1	1%
AM	1	1%
სულ	**146**	**100%**



რეგისტრირებული ადგილობრივი განაცხადების რაოდენობა კლასების მიხედვით		
კლასი	რაოდენობა	
9	9	23%
11	9	23%
3	5	13%
32	4	10%
6	3	8%
12	2	5%
29	2	5%
1	1	3%
2	1	3%
7	1	3%
18	1	2%
19	1	2%
სულ	**39**	**100%**



რეგისტრირებული უცხოური განაცხადების რაოდენობა კლასების მიხედვით		
კლასი	რაოდენობა	
9	1	34%
20	1	33%
32	1	33%
სულ	**3**	**100%**



რეგისტრირებული განაცხადების რაოდენობა ქვეყნების მიხედვით		
ქვეყნის კოდი	რაოდენობა	
GE	39	93%
RU	1	3%
FR	1	2%
UA	1	2%
სულ	**42**	**100%**



სასაქონლო ნიშანი

პროცედურის და განმცხადებლის სტატუსის მიხედვით		შემოსული განაცხადები			რეგისტრირებული და დაცული ნიშნები		
		2018	2019	2020	2018	2019	2020
ეროვნული პროცედურით	ადგილობრივი	1373	1443	1389	833	924	811
	უცხოური	691	608	546	591	647	519
საერთაშორისო პროცედურით		3101	3339	2771	3257	2988	3066
სულ		**5165**	**5390**	**4706**	**4681**	**4559**	**4396**

2020 წელს შემოსული განაცხადები



2020 წელს რეგისტრირებული და დაცული ნიშნები



შემოსული განაცხადების რაოდენობა ქვეყნების მიხედვით

ქვეყანა	რაოდენობა	
GE	1390	30%
RU	439	9%
CN	386	8%
US	360	8%
DE	246	5%
CH	206	4%
TR	154	3%
IT	140	3%
დანარჩენი	1390	30%



შემოსული განაცხადების რაოდენობა კლასების მიხედვით

კლასი	რაოდენობა	
5	968	21%
35	851	18%
9	691	15%
33	526	11%
30	476	10%
3	470	10%
41	337	7%
32	317	7%
42	302	6%
29	298	6%
43	286	6%
25	277	6%

შემოსული ადგილობრივი განაცხადების რაოდენობა კლასების მიხედვით

კლასი	რაოდენობა	
33	369	27%
35	332	24%
5	250	18%
43	177	13%
32	120	9%
30	113	8%
29	84	6%
41	84	6%
9	76	5%
25	71	5%
36	68	5%

რეგისტრირებული და დაცული ნიშნების რაოდენობა ქვეყნების მიხედვით

ქვეყანა	რაოდენობა	
GE	813	18%
CN	453	10%
US	415	9%
RU	355	8%
DE	345	8%
CH	247	6%
TR	168	4%
დანარჩენი	1608	37%



რეგისტრირებული ადგილობრივი ნიშნების რაოდენობა კლასების მიხედვით

კლასი	რაოდენობა	
35	219	27%
33	215	27%
43	125	15%
5	111	14%
32	81	10%
41	64	8%
9	53	7%
36	48	6%
30	47	6%
44	46	6%
29	44	5%
37	37	5%



რეგისტრირებული და დაცული ნიშნების რაოდენობა კლასების მიხედვით

კლასი	რაოდენობა	
5	858	20%
35	848	19%
9	795	18%
3	523	12%
30	391	9%
41	382	9%
42	359	8%
33	346	8%
25	269	6%
32	266	6%
43	249	6%
29	242	6%
11	230	5%
28	224	5%
7	221	5%
12	220	5%
36	217	5%
16	199	5%



გეოგრაფიული აღნიშვნა და ადგილწარმოშობის დასახელება

პროცედურის და განმცხადებლის სტატუსის მიხედვით		შემოსული განაცხადები			რეგისტრირებული დასახელებები და აღნიშვნები		
		2018	2019	2020	2018	2019	2020
ეროვნული პროცედურით	გეოგრაფიული აღნიშვნა	1	1	1	1	0	1
	ადგილწარმოშობის დასახელება	1	4	2	1	1	4
საერთაშორისო პროცედურით (ლისაბონის შეთანხმება)		57	10	6	0	69	5
ადგილწარმოშობის დასახელების და გეოგრაფიული აღნიშვნის გამოყენების უფლება		19	25	40	36	25	39
სულ		**78**	**40**	**49**	**38**	**95**	**49**

2020 წელს შემოსული განაცხადები



2020 წელს რეგისტრირებული დასახელებები და აღნიშვნები



შემოსული განაცხადების რაოდენობა ქვეყნების მიხედვით	
ქვეყანა	რაოდენობა
GE	3
IR	2
MX	1
BA	1
TN	1
CR	1
სულ	**9**

შემოსული განაცხადების რაოდენობა კლასების მიხედვით	
კლასი	რაოდენობა
21	1
29	1
30	2
31	2
33	2
34	1
სულ	**9**

შემოსული ადგილობრივი განაცხადების რაოდენობა კლასების მიხედვით	
კლასი	რაოდენობა
21	1
31	1
33	1
სულ	**3**



რეგისტრირებული და დაცული ნიშნების/აღნიშვნების რაოდენობა ქვეყნების მიხედვით	
ქვეყანა	რაოდენობა
GE	5
BA	1
IR	3
MX	1
სულ	**10**



რეგისტრირებული და დაცული ნიშნების/აღნიშვნების რაოდენობა კლასების მიხედვით	
კლასი	რაოდენობა
19	1
30	2
31	1
33	5
34	1
სულ	**5**



რეგისტრირებული და დაცული ნიშნების/აღნიშვნების რაოდენობა კლასების მიხედვით	
კლასი	რაოდენობა
30	1
33	4
სულ	**10**



რეგისტრირებული გეოგრაფიული აღნიშვნის გამოყენების უფლებაზე შემოსული განაცხადები		
დასახელება	გამოყენების უფლების მქონე პირი	კლასი
ჭაჭა	სს „შატო მუხრანი“	33
ჭაჭა	შპს „ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია“	33
ჭაჭა	სს „თელიანი ველი“	33

რეგისტრირებული გეოგრაფიული აღნიშვნის გამოყენების უფლების მქონე პირები	
გეოგრაფიული აღნიშვნა	გამოყენების უფლების მქონე პირი
თუშური გუდა	რ/კ „ალაზნის თავი“
ჭაჭა	სს „თელიანი ველი“
ჭაჭა	შპს „ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია“
ჭაჭა	სს „შატო მუხრანი“

რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელების გამოყენების უფლებაზე შემოსული განაცხადები

№	დასახელება	გამოყენების უფლების მქონე პირი	კლასი
1	ახაშენი	შპს „ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია“	33
2	ახაშენი	სს „ბადაგონი“	33
3	ბორჯომი	შპს „აიდიეს ბორჯომი ბევერიჯიზ კომპანი“	32
4	ვაზისუბანი	სს „ბადაგონი“	33
5	თელიანი	სს „თელიანი ველი“	33
6	კახეთი	შპს „ქართული ღვინის სახლი“	33
7	კახეთი	შპს „კახური ღვინის მარანი“	33
8	კახეთი	შპს „ჯიველი“	33
9	მანავი	სს „ბადაგონი“	33
10	მიტარბი	შპს „აიდიეს ბორჯომი ბევერიჯიზ კომპანი“	32
11	მუკუზანი	შპს „ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია“	33
12	მუკუზანი	შპს „ქართული ღვინის სახლი“	33
13	მუკუზანი	სს „ბადაგონი“	33
14	მუკუზანი	შპს „შატო მუკუზანი“	33
15	ნაბეღლავი	სს „წყალი მარგებელი“	32
16	ნაფარეული	შპს „ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია“	33
17	საირმე	შპს „საირმე მინერალ ვოთერს“	32
18	ტვიში	შპს „როიალ რაჭა“	33
19	ტვიში	შპს „ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია“	33
20	ტვიში	სს „ბადაგონი“	33
21	ტიბაანი	ფიზიკური პირი ოთარ ბიძინაშვილი	33
22	ქინძმარაული	შპს „კორპორაცია ქინძმარაული“	33
23	ქინძმარაული	სს „შატო მუხრანი“	33
24	ქინძმარაული	შპს „ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია“	33
25	ქინძმარაული	შპს „ვაზიანი კომპანი“	33
26	ქინძმარაული	შპს „ქინძმარაულის მარანი“	33
27	ქინძმარაული	სს „ბადაგონი“	33
28	ქინძმარაული	შპს „მარნისკარი“	33
29	ქინძმარაული	შპს „შიმონ და კომპანია“	33
30	ყვარელი	შპს „ყვარლის სარდაფი“	33
31	წინანდალი	შპს „ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია“	33
32	წინანდალი	სს „ბადაგონი“	33
33	ხვანჭკარა	შპს „როიალ რაჭა“	33
34	ხვანჭკარა	სს „შატო მუხრანი“	33
35	ხვანჭკარა	შპს „ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია“	33
36	ხვანჭკარა	სს „ბადაგონი“	33

რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელების გამოყენების უფლების მქონე პირები

№	ადგილწარმოშობის დასახელება	გამოყენების უფლებების მქონე პირი
1	ხვანჭკარა	შპს „როიალ რაჭა“
2	ახაშენი	სს „ბადაგონი“
3	კახეთი	შპს „კახური ღვინის მარანი“
4	მიტარბი	შპს „აიდიეს ბორჯომი ბევერიჯიზ კომპანი“
5	ბორჯომი	შპს „აიდიეს ბორჯომი ბევერიჯიზ კომპანი“
6	ქინძმარაული	შპს „შიმონ და კომპანია“
7	საირმე	შპს „საირმე მინერალ ვოთერს“
8	თელიანი	სს „თელიანი ველი“
9	ნაბეღლავი	სს „წყალი მარგებელი“
10	კახეთი	შპს „ქართული ღვინის სახლი“
11	ახაშენი	შპს „ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია“
12	მუკუზანი	შპს „ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია“
13	ნაფარეული	შპს „ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია“
14	ქინძმარაული	სს „შატო მუხრანი“
15	ქინძმარაული	შპს „ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია“
16	ტვიში	შპს „ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია“
17	ქინძმარაული	შპს „ქინძმარაულის მარანი“
18	ხვანჭკარა	შპს „ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია“
19	ხვანჭკარა	სს „შატო მუხრანი“
20	წინანდალი	შპს „ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია“
21	მუკუზანი	შპს „ქართული ღვინის სახლი“
22	ქინძმარაული	შპს „ვაზიანი კომპანი“
23	ყვარელი	შპს „ყვარლის სარდაფი“
24	წინანდალი	სს „ბადაგონი“
25	ვაზისუბანი	სს „ბადაგონი“
26	მუკუზანი	სს „ბადაგონი“
27	ქინძმარაული	სს „ბადაგონი“
28	ხვანჭკარა	სს „ბადაგონი“
29	ტვიში	სს „ბადაგონი“
30	მანავი	სს „ბადაგონი“
31	ქინძმარაული	შპს „მარნისკარი“
32	ქინძმარაული	შპს „მარნისკარი“
33	ქინძმარაული	შპს „მარნისკარი“
34	კახეთი	შპს „ჯიველი“
35	მუკუზანი	შპს „შატო მუკუზანი“

მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშები

განმცხადებლის სტატუსის მიხედვით		შემოსული განაცხადები			რეგისტრირებული ჯიშები		
		2018	2019	2020	2018	2019	2020
ადგილობრივი	იურიდიული პირი	0	0	0	0	0	0
	ფიზიკური პირი	0	0	0	0	0	0
უცხოური	იურიდიული პირი	1	5	15	4	1	4
	ფიზიკური პირი	0	0	2	0	0	0
სულ		**1**	**5**	**17**	**4**	**1**	**4**

2020 წელს შემოსული განაცხადები



2020 წელს რეგისტრირებული ჯიშები



შემოსული განაცხადების რაოდენობა კულტურების მიხედვით	
კულტურა	რაოდენობა
თხილი	1
ზეთისხილის ხე	1
კარტოფილი	1
მარწყვი	1
მოცვი	12
პავლონიასებრნი	1
სულ:	**17**



რეგისტრირებული ჯიშების რაოდენობა კულტურების მიხედვით	
კულტურა	რაოდენობა
კარტოფილი	2
მოცვი	2
სულ	**4**



განაცხადების სტატისტიკა

ობიექტი		შემოსული			რეესტრში შეტანილი		
		2018	**2019**	**2020**	**2018**	**2019**	**2020**
გამოგონება	ეროვნული	106	88	81	36	35	49
	საერთაშორისო	151	110	134	97	80	103
სასარგებლო მოდელი	ეროვნული	58	74	62	40	30	33
	საერთაშორისო	0	1	3	2	0	1
PCT განაცხადები/საქპატენტი-მიმღები უწყება		5	4	5	-	-	-
დიზაინი	ეროვნული	56	70	58	56	34	42
	საერთაშორისო	126	139	146	145	100	174
სასაქონლო ნიშანი	ეროვნული	2064	2051	1935	1424	1571	1330
	საერთაშორისო	3101	3339	2771	3257	2988	3066
გეოგრაფიული აღნიშვნები და ადგილწარმოშობის დასახელებები	გეოგრაფიული აღნიშვნა	1	1	1	1	0	1
	ადგილწარმოშობის დასახელება	1	4	2	1	1	4
	საერთაშორისო	57	10	6	0	69	5
	გამოყენების უფლება	19	25	40	36	25	39
მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშები		1	5	17	4	1	4
საავტორო და მომიჯნავე უფლებების დეპონირება		321	324	362	329	272	327
სულ:		**6067**	**6245**	**5623**	**5428**	**5206**	**5178**

უფლებების გადაცემა და სალიცენზიო ხელშეკრულებები

სამრეწველო საკუთრების ობიექტებზე უფლებათა გადაცემისა და სალიცენზიო ხელ-შეკრულებების რეგისტრაცია წარმოებს საქპატენტში.

ბოლო სამი წლის განმავლობაში რეგისტრირებულ ხელშეკრულებათა უმრავლესობა ეხება სასაქონლო ნიშნებს.

უფლებების გადაცემა



სალიცენზიო ხელშეკრულებები



სამოქმედო გეგმა 2021

- დარგობრივი (სექტორული) სტრატეგიის შემუშავების მიზნით, მოსამზადებელი სამუშაოების დაწყება;
- ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ISO 9001:2015 საერთაშორისო სერტიფიკატის მოპოვება;
- სამრეწველო საკუთრების ობიექტების ექსპერტიზის პროცედურის სისტემის დახვეწა და ევროკავშირის პრაქტიკასთან, მიდგომებთან და რეგულაციებთან ჰარმონიზება, ასევე, დაცვის ხარისხის გაუმჯობესება და აღსრულებაზე პასუხისმგებელ უწყებებთან ეფექტიანი კოორდინაციის მექანიზმის დანერგვა;
- ქართული გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის სისტემის გაძლიერება და შემდგომი დაახლოება ევროკავშირის გეოგრაფიული აღნიშვნების სისტემასთან, შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების თუ ინსტიტუციური მექანიზმების შექმნის გზით;
- ევროპის საპატენტო უწყებასთან გაფორმებული ვალიდაციის ხელშეკრულების შესაბამისად, საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება და სისტემური რეფორმის დაწყება პატენტრწმუნებულთა ატესტაციის მიმართულებით;
- „ცხოველთა და მცენარეთა ახალი ჯიშების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების პროექტის მომზადება, რომლის მიზანია ახალი ჯიშების დაცვის სისტემის და ექსპერტიზის ხარისხის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება;
- სასწავლო ცენტრის შემდგომი განვითარება სხვადასხვა სამიზნე ჯგუფის საჭიროებებზე მორგებული მრავალფეროვანი სასწავლო პროგრამების დანერგვა, ცნობიერების ამაღლების მასშტაბური აქტივობების განხორციელება, WIPO-ს აკადემიასთან მოლაპარაკებების გაგრძელება საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების სამართლის სამაგისტრო პროგრამის დანერგვის მიზნით;
- ადამიანური რესურსების მართვისა და შეფასების სისტემის დანერგვა, ასევე, ახალგაზრდა კადრების მოზიდვის მიზნით, გამჭვირვალე და ობიექტურ კრიტერიუმზე დაფუძნებული სტაჟირების სისტემის შემუშავება;
- საკომუნიკაციო სტრატეგიის შემუშავება და, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით, შესაბამისი საინფორმაციო კამპანიების წარმოება;
- საგამომცემლო საქმიანობის გაძლიერება – დარგობრივი ლიტერატურის თარგმნა და გამოცემა.

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების
ეროვნული ცენტრი – „საქპატენტი“

3300, ქ. მცხეთა, საქართველო, ანტიოქიის ქ. №5

ტელ.: +995 32 2252533
info@sakpatenti.org.ge
www.sakpatenti.gov.ge